# დროება

№ 223 პარასკევი, 9 ოქტომბერი 1909 წ. № 223

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ... კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ... თი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები ... დავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ... ზება. ინახება ერთის თვით მხოლოთ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გ: მოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

### სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ოქტომბრიდან წლის ბოლომდე 3 მან., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.



ბარბარე იოსების ასული ვოლსკისა, ვლადიმერ იოსების ძე ვოლსკი და ივანე ივანეს ძე ზურაბიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველნი—ძმისა, ხოლო უკანასკნელნი—მამიდაშვილის

### გრიგოლ იოსების ძის ვოლსკისას.

ცხედარს დღეს, პარასკევს, 9 ოქტომბერს, ნაშუადღევის 4 საათზე. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიიდან წაასვენებენ სადგურზე, ხოლო იქიდან რკინის გზით ბათომში დასაკრძალავად. (1—1)



დღეს, 9 ოქტომბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, გვამი ბათუმის ქალაქის გამგეობის წევრად ნამყოფის განსვენებულ

### გრიგოლ იოსების ძის ვოლსკისა

ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიიდან წასვენებული იქნება ვაგზალზე, ხოლო იქიდან ბათუმში, სადაც 11 ოქტომბერს, წირვის შემდეგ, მოხდება ცხედრის დაკრძალვა ქართულ ეკლესიის გალავანში, რასაც ბათუმის ქალაქის გამგეობა აუწყებს განსვენებულის ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ. (1—498—1)



მღვდელი ისაკ ახვლედიანი, მეუღლე მისი მარიამ, შვილნი თამარ, ვალერიან, ვასილ, ელენე და ნადია გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელ ქალისა და დის, გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფის

### სარრა ახვლედიანისას.

გამოსვენება ცხედრისა სოფელ ეწერიდან სამტრედიაში შაბათს, 10 ოქტომბერს. (1—კვ.—1)



წარმოდგენა № 5. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 5.

იაფ-ფასიანი—სახალხო წარმოდგენა

შაბათს, 10 ოქტომბერს, 1909 წელს

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პიესა ა. ოსტროვსკისა.

### უდანაშაულოდ დამნაშავენი

4 მოქმედებად თარგ. ივ. მაჭავარიანისა.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი ნ. კოლხიდელი, მ. მდივანი, მ. ქილარჯიშვილი, ჩერქეზიშვილი, ან. ჩირგაძე; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარამე, ვ. მარამე, ი. ყიფიანე, ი. ზარდალიშვილი.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 3 მ.-დან 2 მ.-მდე, პარტერი 1 მ.-დან 40 კ.-მდე, გალერეია 20 კ.-დან 10 კ.-მდე, მოწაფეთათვის 25 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.**

მორიგი რეჟისორი **კ. შათირიშვილი.**

წარმოდგენა № 6. კვირას, 11 ოქტომბერს, 1909 წ. წარმოდგენა № 6.

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **ან. ჩირგაძის და ნ. კოლხიდელის, ვალ. გუნიას და შ. შარაშიძის მონაწილეობით** ცნობილი პიესა ა. სუმბათაშვილისა.

### ღალატი

ლეგენდა-დრამა 5 მოქმედებად. თარგ. გ. ყიფშიძისა.

ზეინაბის როლს შესრულებს ქ-ნი ან. ჩირგაძე რუქაიასას—ნ. კოლხიდელი. ოთარ-ბეგისას—ვალ. გუნია.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ნ. კოლხიდელი, ბ. ნებიერიძისა, ჯავახიშვილი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარამე, ი. ...ანიძე, ი. იმედაშვილი-ხამშელი, ვ. მატარამე, ი. ზარდალიშვილი, შ. საფაროვი.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 12 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, პარტერი 3 მ. 50 კ.-დან 1 მ. 60 კ.-მდე, გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსად. „აი გიდი მეგობრებო".

მორიგი რეჟისორი **ვ. აბაშიძე.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**



### ტფილისის კერძო სამკურნალო

**30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.**

ქსენიას ქუჩა, სახლი № 7, „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ბალარჯიშვილი ვ. დ.** შინ. და ბავშვ. ყოველ-დღე, გარდა კვირისა 2—3 ს.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; კვ. გარდა 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^{1/2}$—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^{1/2}$—$3^{1/2}$ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ხუთშ., შაბ. 1—2 ს.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—$2^{1/2}$ ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ დღე 11—12 საათ.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვირ. ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—$2^{1/2}$ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოვ. დღ. 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ. ყოვ. დღ. 9—11 საათამ.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. საბებიო ყოველ დღე 1—2 ს.

**ფედოროვი ე. გ.** მიკრ., ქირ.-ბაქტ. გამოკვლევა. (100—ნ.—7)



### ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ს. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^{1/2}$—$12^{1/2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშ., შაბ. 2—$2^{1/2}$ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—175)



**ექიმი** კ. ს. ფონ-ირტელი არჩენს სპეც. თირკმ., საშ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ., ტრიპერი) ელექ.-სამკ. კაბ. დილ. 9—12 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. მეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. მაფრანოვისა, ბუღ. გვერდზე. (100—ზალ.—18)

**ექიმი** ვასილ წერეთელი ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოხე ქიქოძის სახლი. (0—უ.—19)

**ექიმი** ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** ლ. ნ. ოჯანჯანოვი ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ზალ.—32)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** ი. ნ. ეგიაზაროვის ელექტრო - თერაპევტიული კაბინეტი. სპეციალ. ნერვებისა და შინაგ. ავადმყოფობანი. მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. ველიამინოვის ქ. N 4. (100—ზალ.—27)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—24)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი ხუთ ოქტომბრიდან განაახლებს ავადმყოფების მიღებას. (0—კვ.—78)

**ექიმი** კბილისა ს. ვაშაყმაძე აბასთუმნიდან დაბრუნდა. ავადმყოფებს იღებს **ახალ ბინაზე** დილით: 9—2 საათ. საღამოს: 5—7 საათ. ვერის დაღმართი, ს. N 15. (25—ნ.—25)

### სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

**ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს.

**მ. კიმონტი**—ქირურგ. ავად. 11—12 ს.

**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

**ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**— ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეორ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—24)

### ქუთაისში

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

### სამკურნალო

პირის და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—14)

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა, N 25.

**ექიმი** მ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. გიორგიჩნო, N 9. (უ)



### კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (0—ნ.—77)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბღოროვის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—267)

**ექიმი** კაკიტელაშვილი ქუთაისში 9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—84)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

### სამკერვალოში

მიიღებენ კაბებს ქალებისას და ბავშვებისას შესაკერად ძალიან იაფად, ყველასათვის ხელ მისაწვდენ ფასად.

ადრესი: ვერა, გაბაანთ ქუჩა, № 3, ზარი მესამე. დილიდან 3 საათამდე. (ნ—უ.—5)

იყიდება ყველგან ახალი

### ჩანგი

წიგნი 502 გვ., ჩართულია 60 მეტი სურათი საზოგადო მოღვაწეებისა. დაბეჭდილია მრავალი ისეთი ლექსები, სცენები, სახუმარო და საოხუნჯო კუპლეტები, რომლებიც ჯერეთ არსად არ დაბეჭდილა. სხვათა შორის მოთავსებულია სამი პიესა: **„ადვოკატთან", „ტაინი სოვეტნიკის სიზმარი" და „უბედური დღე". წიგნი მშვენიერის ყდით ღირს 1 მ. 35 კაპ.—უყდო 1 მან.** ფოსტით ვინც გამოიწერს, მას გასაგზავნი ფული არ გადახდება. ფულის მაგიერ შეიძლება მარკებიც. წიგნების გამყიდველებს დაეთმობათ პროცენტები.

ადრესი: Тифлисъ, „Сорапанъ" Гачечиладзе. (30—ნ.—24)


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

სომხურ გაზეთ „სურჰანდაკში" (№ 23. ეს გაზეთი ტფილისში გამოდის) წერილია დაბეჭდილი სომეხთა ვაჭრობის შესახებ. გაზეთი ამბობს, რომ ამ ბოლო დროს სომხებს ვაჭრობა ხელიდან ეცლებათო. ამის გამო გაზეთი სწუხს და გოდებს. გაზეთი აღნიშნავს, რომ ვაჭრობას ხელი მოჰკიდეს ქართველებმა და თათრებმაც. აღნიშნავს იმასაც, რომ უცხოელნი თანდათან ფეხს იკიდებენ კავკასიის მრეწველობა-ვაჭრობაში. ყველა ამას ცუდ გუნებაზე დაუყენებია გაზეთი. მოგვყავს ეს წერილი სრულიად.

უკანასკნელ წლების შემთხვევებმა, ჯერ სომეხ-თათართა მეტაკ ბებმა, მერე სრულიად სახელმწიფოს მოძრაობამ და ამ ბოლო ხანებში ჩვენი მეზობელ ქვეყნების, ნამეტურ სპარსთა მოძრაობამ, დიდი ვნება და ზარალი მიაყენეს ჩვენის ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის საქმეს.

ამ შემთხვევებით ყველაზე მეტად ეკონომიურად სომხეთის მკვიდრნი დაზარალდნენ, და მისი შედეგი, რომელმაც აწ წამოჰყო თავი, გახლავთ ის, რომ აღებ-მიცემობა სრულებით უცხოელთა ხელში გადავიდა და წარმოების მცირედი ნაწილი-ღა დაგვრჩა როგორც ბაქოში, რომელიც კავკასიის წარმოების დედა-ბოძია, ისე ერევნის გუბერნიაში, საიდანაც ბამბა, არაყი და ღვინო ძალიან ბლომად მოდიოდა, და განჯაში, სადაც არა თუ სომხის მრეწველთ, სომხის ვაჭრებმაც კი ადგილი დაუთმეს ადგილობრივ თათრებს.

საზოგადოდ, ჩვენ ვამჩნევთ, რომ არა თუ მარტო ჩვენი მეზობლები თათრები და ქართველები დღითი-დღე ვითარდებიან ეკონომიურად, რის საწინააღმდეგოც ჩვენ, რასაკვირველია, არა გვაქვს რა, არამედ აქ ყურადღების ღირსია მეტადრე ის გარემოება, რომ უცხო ქვეყნელნი, შორეულ რუსეთიდან მოსულნი, გადამთიელნი: პოლონელნი, ებრაელნი, გერმანელნი და ბერძენნი, ხოლო ბაქოში ინგლისელნიც, ყველა ესენი არა თუ ფეხს იკიდებენ ჩვენს აღებ-მიცემობისა და წარმოების მთავარ კუნჭულებში, არამედ ხდებიან უფალნი და მბრძანებელნი ჩვენნი და აღებ-მიცემობისა და ვაჭრობის სათავეში სდგებიან.

და შორს აღარ არის ის დღე, როდესაც არა თუ წარმოება-მრეწველობა, არამედ აღებ-მიცემობაც სრულიად წავა ჩვენი ხელიდან.

ამის ნაცვლად ჩვენ არ ვიცით მიწის მუშაობა, მევენახეობა, საქონლის მოშენება, მეთევზეობა და სხვ. და სხვ. ჩვენ ვისწრაფვით დღეს, როდესაც ხელიდან ვუშვებთ ვაჭრობა-წარმოების მთავარ საჭეებს, იმ სულელურიხა და უსაფუძვლო მიზეზებით, ვითომ მას მომავლისთვის აღარ ექნება ნდობა და შეწყნარება.

იმ დროს, როდესაც გადამთიელნი ზღვასა და ხმელს გადმოლახვენ, ბინას იჩენენ და ფეხს იკიდებენ ჩვენს ქვეყანაში და აფუძნებენ თავიანთ კეთილდღეობის კერას, ჩვენ გულ-ხელ დაკრეფილნი შევსცქერით, თუ რას იტყვიან ჩვენის ხალხის მხსნელნი და კეთილის მყოფელნი, საჭიროა თუ არა ვაჭრობა, მივცეთ თუ არა ცეცხლსა და მახვილს ჩვენი წარმოება.

ამდენი გულუბრყვილობა, ამგვარი ფუქსავატი აზრები რომელ ხალხში მოიპოვება?

ხალხთა სიდიადე განიზომება მეცნიერებისა, ტეხნიკისა და აღებ-მიცემობა-წარმოების მიხედვით. ჩვენ ყველა ამათგან ერთი რამ გვებადა—აღებ-მიცემობა და წარმოება. და თუ ესეც წყალსა და მეწყერს მივეცით, რაღა დაგვრჩება ამის შემდეგ?

მოიარეთ ის ადგილები, სადაც ამ ერთი ათიოდე წლის ან და ამ 5—6 წლის წინად მოღვაწეობდნენ სომეხი ვაჭრები, სომეხი მწარმოებლები, რომლებთანაც ადგილსა და საქმეს იჩენდნენ სომხის მუშები, სომხის მეურნეები, რომელთა მეოხებითაც თავს იკვებავდნენ და საზრდოობდნენ მთელი მაზრები, გუბერნიები და შედარებით აწმყოსთან. რაღა დაგვშთენია? არაფერი, გაკოტრება, გაოხერ-ტიალება, ან ამის მსგავსი საქმე. და თუ კიდევღა ხჩანან აქა-იქ სომეხი ვაჭრები და მწარმოებელნი, რომელნიც ოაზისებივით გაფანტულან ჩვენის ქვეყნის სივრცეზე, შეეძლებათ განა მათ კვლავაც ანგარიშის გაწევა გადამთიელთა და უცხოთა კონკურენციისათვის და ჩვენი სამარცხვინო და ყოვლის მხრით გასაკიცხ გულგრილობისათვის,—გულგრილობისათვის, რომელსაც ჩვენ ეროვნულად გადაშენებისა და მოსპობისაკენ მივყავართ.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 ოქტომბერი

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** აქ ლაპარაკობენ, დიდი ვეზირი ხილმი-ფაშა გადადგებაო. ხილმი-ფაშამ გაზეთ „ტანის" კორესპონდენტთან ლაპარაკის დროს ცუდად მოიხსენია ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტი. ხილმი-ფაშას მოადგილედ ხაკი-ბეის ასახელებენ. ხაკი-ბეი ამ ჟამად რომშია ელჩად.

### საზღვარ-გარედ.

**ვენა.** დაიწყო რეიხსრატის სესსია. რეიხსრატის სესსის დაწყებას აუარებელი ხალხი დაესწრო. როდესაც მინისტრები რეიხსრატში შემოვიდნენ, ჩეხელმა დეპუტატებმა ყვირილი ასტეხეს და უსტვენდნენ. სიტყვა წარმოსთქვა უხუცესმა დეპუტატმა ფუნკემ. სხდომის გათავების შემდეგ ჩეხელები მინისტრებს ყვირილით და სტვენით შეხვდნენ.

**ბუდაპეშტი.** ჰუნგრეთის დეპეშათა საგენტოს ვენიდან ატყობინებენ: სამეფო საბჭოს სხდომაზე მეფემ მინისტრებს წინადადება მისცა, გამოსთქვით თქვენი აზრი თუ რანაირად შეიძლება კრიზისის გადაწყვეტაო. მინისტრებმა ამაზე განაცხადეს, კონსტიტუციის მიხედვით კრიზისის გადაწყვეტა შემდეგნაირად უნდა მოხდეს: სამინისტრო ჰუნგრეთის დეპუტატთა პალატის უმრავლესობისაგან, ან უმცირესობისაგან უნდა შესდგესო. მეფემ ხელ-მეორედ გაიმეორა, მსურს, რომ კრიზისის გადაწყვეტის დროს კონსტიტუცია არ დაირღვეს და სამინისტროს სთხოვა, ისე იმოქმედეთ, რომ ისედაც გამწვავებული საქმე უფრო არ გამწვავდესო.

**პეკინი.** ჩინეთის მთავრობამ განაცხადა, ჩინეთ-იაპონიის შეთანხმების ძალით უცხოელებს შეუძლიანთ იცხოვრონ და ივაჭრონ შემდეგ ქალაქებში: ლუნსა, ჩინ-ჩუნსა, ჩუციჩუციაში, დოუდაუგოუსა და ბაიცასკოშიო.

**მადრიდი.** დეპუტატთა პალატა. მინისტრ-პრეზიდენტმა განაცხადა: ბარსელონაში არეულობამ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ სამინისტროს არ შეეძლო ხელმწიფესთან ეშუამდგომლა, დამნაშავეებს სასჯელი აპატიეთო. მთავრობა რა შუაშია, რომ ავრცელებენ ხმას, მთავრობამ ხალხი ასობით დახვრიტაო. ბარსელონაში შეეცადნენ არეულობა გამოეწვიათ, მთავრობამ შესაფერი ზომები მიიღო და ეხლაც მიიღებს. სად და როდის მოსთხოვეს რომელიმე მთავრობას, რომ არეულობა არ ჩაექროო?

### რუსეთი

**პეტერბურგი.** 7 ოქტომბერს დაიწყო ადგილობრივ მეურნეობის საბჭოს კრებები. კრება გაიხსნა პრემიერ-მინისტრ სტოლიპინის სიტყვით. სტოლიპინმა სთქვა: ბატონებო! როგორც თქვენ მოგეხსენებათ, მთავრობამ შარშან სახელმწიფო სათათბიროს დაამტკიცებინა კანონ-პროექტი, რომლითაც 9 დასავლეთ გუბერნიაში ერობა უნდა იქმნეს შემოღებული. მთავრობა დარწმუნებული იყო, რომ დასავლეთი რუსეთი მომზადებულია ერობისათვის. მთავრობამ სხვანაირის ეჭვით იყო შეპყრობილი: შესაძლებელია თუ არა დასავლეთ რუსეთში სამეურნეო და ეკონომიური საკითხები ადგილობრივ მცხოვრებლებს გადაეცეთ, ისე რომ სახელმწიფოს ინტერესები არ დაირღვეს. მხოლოდ რადგან ერობის შემოღება ჩვენი კანონმდებლობის ერთმა ნაკლმა გამოიწვია, სახელდობრ იმან, რომ კანონმდებლობა დასავლეთ რუსეთის რუს მცხოვრებთ უფლებას არ აძლევს სახელმწიფო საბჭოში თავიანთ განსაკუთრებული წარმომადგენელი იყოლიონ, ამიტომ მთავრობამ სცნო რომ ერობის შემოღებით ეს ნაკლიც შეივსება. თქვენ თითონ შეისწავლით სამინისტროს კანონ-პროექტს, ამიტომ მე დაწვრილებით აღარ შევეხები კანონ-პროექტის შინაარს. დასავლეთ რუსეთში 1890 წლის ტიპის ერობას ვიღებთ მხოლოდ ზოგიერთის ცვლილებით. 1890 წლის ერობა უპირატესობას თავად-აზნაურობას აძლევს, მხოლოდ რადგან დასავლეთ რუსეთში თავად-აზნაურობა თითქმის სულ პოლონურია და რადგან მას წარმომადგენლობის უფლებები არა აქვს, ამიტომ მთავრობამ დასავლეთ რუსეთის ერობას საფუძვლად უწოდებრივობის პრინციპი დაუდო. ამას გარდა, სამინისტრომ გაადიდა საერობო ხმოსნების რიცხვი, რადგან ასეთ ზომებს შიდა რუსეთშიაც ვხმარობდით. სამინისტრომ ცალკე ერთეულებად გამოჰყო მინსკი, ვილნო, და კიევი, როგორც შიდა რუსეთში გამოყოფილია პეტერბურგი, მოსკოვი, კრონშტადტი და ოდესსა. ამ ქალაქების გამოყოფა იმიტომ არის საჭირო, რომ სამინისტროს არ უნდა წინდა წინვე ერთმანეთში აურიოს სამაზრო ერობების და დიდი ქალა-

ქმის ინტერესები. მგონი ეს წმინდა ტეხნიკური საკითხები თქვენში კამათს არ გამოიწვევენ. აქ ვეხები უფრო რთულ საკითხებს. მთავრობას დასავლეთ რუსეთის შესახებ კანონ-პროექტების შემუშავების დროს დიდად აფერხებს ის გარემოება, რომ დასავლეთ რუსეთში ბევრი სხვა და სხვა ერი სცხოვრობს. ერობა წმინდა სამეურნეო ინსტიტუტია. თუ გვინდა, რომ ერობის მუშაობა ნაყოფიერი იყოს, უნდა ვეცადოთ, მასში მონაწილეობა მიიღოს ყველა იმ ელემენტმა რომელიც დაინტერესებულია ეკონომიურ საკითხების სწორ გადაწყვეტაში. აგრეთვე თუ ერობაში რომელიმე ერი გაბატონდა, იგი ერობის მუშაობას ერთ ფერს მისცემს და უმთავრესი მისი ყურადღება ამ ერის აყვავებისაკენ იქნება მიმართული. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მთავრობა დიდი ხანია სცდილობს, დასავლეთ რუსეთში რუსეთის სახელმწიფოებრივი იდეა გააძლიეროს, ჩაუნერგოს ადგილობრივ მცხოვრებთ და ამიტომ ეხლანდელი მთავრობა ამ პრინციპს ვერ უღალატებს. იგი შეეცადა საქმე ისე მოეწყო, რომ ამ პრინციპისთვის არ გადაეხვია. მთავრობას არა სურს ერთი ერი მეორეს დაუპირდაპიროს. სამინისტრომ თუ რაიმე ზომები მიიღო, რომ რუსეთის სახელმწიფოებრივი იდეა გავრცელებულიყო, ეს მხოლოდ საქმის ვითარებამ გამოიწვია. სამინისტროს აზრით, საფრთხე მარტო ის კი არ არის, რომ იმ გუბერნიებში, სადაც რუსები უმცირესობას შეადგენენ, ადგილობრივი მცხოვრებნი რუსებს გააქარწყლებენ; საფრთხეა ისიც, რომ რუსებსა და ადგილობრივ მცხოვრებთ იქაც კი, სადაც რუსობა უმეტესობაა, უფლება მიეცეთ თავისუფლად კონკურენცია გაუწიონ ერთმანეთს. აშკარადა სჩანს, რად განამტკიცა სამინისტრომ არა თუ რუსების უმცირესობა, არამედ რუსების უმრავლესობაც და ამ უკანასკნელ შემთხვევაში რად შეზღუდა უმცირესობის (პოლონელები) უფლებები და წინდაწინვე რად განსაზღვრა, თუ რამდენ ხმოსნის არჩევა შეუძლიანთ.

რაც შეეხება იმას, თუ თვითეულ ერს რამდენი წარმომადგენელი ეყოლება, ამაში სამინისტრო შემდეგით სარგებლობს: მხედველობაში ვიღებთ თვითეულ ერის რაოდენობას და იმას, თუ ერს რა ღირებულების უძრავი ქონება უჭირავს. იმ ადგილებში, სადაც რუსობა მეტად ცოტაა, სამინისტრო სხვანაირ საშუალებას ხმარობს: საგუბერნიო ერობის თავმჯდომარედ უსათუოდ რუსი უნდა იყოს, არჩეულ ხმოსნებიდან ნახევარი უსათუოდ რუსები უნდა იყვნენ, დაქირავებულ მოხელეებიდან დიდი ადგილები რუსებს უნდა ეჭიროთ და, ამას გარდა, დაქირავებულ მოსამსახურეების ნახევარი რუსები უნდა იყვნენ. სამინისტრო რომ ასე არ მოიქცეს, დიდ დანაშაულობას ჩაიდენდა. მაგალითად, ვილნოს საგენერალ-გუბერნატოროში რუსების რიცხვი ისე მცირეა, რომ ერთ ხმოსან აც ვერ გაიყვანდნენ. მთავრობის მოვალეობაა იმ განაპირა ადგილებში, სადაც რუსეთის სახელმწიფოებრივ იდეას ფეხი არა აქვს მოკიდებული, გააძლიეროს ეს იდეა. ამით ვათავებ ჩემ სიტყვას. გთხოვთ ყურადღებით გადაათვალიეროთ ეს კანონ-პროექტი, გრძნობას კი არა, გონებას დაეკითხეთ და ისე გადასწყვიტეთ საქმე.

**მინსკი.** დღისით გუბერნატორის ქუჩაზე, კაპლანის სტამბაში, აფეთქდა ბენზინი. სტამბის სადგომს ცეცხლი გაუჩნდა, დაშავდა რამდენიმე კაცი. ზარალი დიდია.

**მოსკოვი.** აღმოჩნდა, რომ ამ რამდენიმე ხნის წინად უცნობებისაგან მოკლული კაცი ინჟინერი ანდრია ალექსანდრეს ძე გილთვიჩი ყოფილა. გილთვიჩს მოკვლის დროს თან 20,000 მანეთი ჰქონებია. პოლიციამ მკვლელების კვალს მიაგნო.

**პეტერბურგი.** უმაღლესის ბრძანებით 24 ოქტომბერს გროდნოსა და კურსკის გუბერნიებიდან სახელმწიფო საბჭოს არჩევნები მოხდება. ამ გუბერნიის დეპუტატები სოლოვი და დორერი თავიაით გავიდნენ სათათბიროდან.

**პეტერბურგი.** თავად-აზნაურობამ სახელმწიფო საბჭოს წევრებად აირჩია თავადი ურუსოვი (60 ხმა), ლობანოვ-როსტოვსკი (52 ხმა), რებინდერი (45 ხმა), და სუხომლინოვი (40 ხმა).

სახელმწიფო სათათბიროს პირველი სხდომა 10 ოქტომბერს მოხდება.

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ავად გახდა 20, გარდაიცვალა 6, ავად არის 358 კაცი.

## თათბირი ერობის შესახებ

7 სექტემბერს საგუბერნიო თათბირი სრულ 8 საათზე დაიწყო. გ. ბ. გვაზავას, მ. ა. გედევანიშვილს და ა. რ. ფიშერს უნდა წაეკითხათ მოხსენებანი ამიერ-კავკასიის სოლქო ერობის წინაალმდეგ. ვიდრე კრება მოხსენებათა მოსმენას შეუდგებოდა, თავ. დ. გურამიშვილმა განაცხადა, რომ კრებას რეზოლიუციის მიღებით დაემთავრებინა წინა სხდომაზე მოსმენილი ფიშერის მოხსენება. ჩემის აზრით, სთქვა გურამიშვილმა, უნდა მივიღოთ რეზოლიუცია, აღიძრას შუამდგომლობა, რომ ის 2 ნახევარი მილიონი მანეთი, რომელიც კავკასიის საერობო დარაჯებზე იხარჯება, ხაზინიდან გადაიდოს.

გუბერნატორმა უპასუხა, რომ თავ. გურამიშვილის წინადადებას კენჭი მაშინ უნდა ეყაროს, როცა კრება დაწვრილებით განიხილავს ერობის ფინანსიურ მხარეს. კრებამ თანხმობა განაცხადა.

პირველად მოხსენება წაიკითხა გ. ბ. გვაზავამ; მან სხვა და სხვა მოსაზრება მოიყვანა სოლქო ერობის წინაალმდეგ. ეს ორგანიზაცია ხელოვნური იქნება, რადგან ამიერ-კავკასიის სხვა და სხვა კუთხის მცხოვრებთა ინტერესები ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდებიან. რა მხრივაც უნდა ავიღოთ, სოლქო ერობა სრულიად შეუფერებელი იქნება. ავიღოთ, მაგალითისათვის, უმაღლესი სასწავლებლის დაარსება. ეს საქმე სახელმწიფოს საქმეა და არა სოლქო ერობისა. ხალხის ჯანმრთელობისათვის ზრუნვა არ შეიძლება ცენტრალისტურ ხასიათისა იყოს. მაგ. ტფ. მიხეილის საავადმყოფო ინახება საერობო თანხით, იგი მთელ კავკასიას უნდა ემსახურებოდეს, ნამდვილად-კი მარტო ტფილისს აძლევს სარგებლობას და რამდენამდე ტფ. გუბერნიას. სოლქო ერობას არც გზა ექნება საზრუნავი, რადგან საერთო გზა ერობისათვის არ არსებობს. რკინის გზა სახელმწიფოს კუთვნილება და საზრუნავია. სოლქო ერობის შემოსავალი საშიშიც კი არის, ბ-ნ გვაზავას აზრით, რადგან ზოგი ფუნქცია საგუბერნიო ერობისა სოლქო ერობამ უნდა იკისროს და მაშინ საგუბერნიო ერობის სამოქმედო ასპარეზი შეიხუთება და წვრილმან საქმეებშიაც სოლქო ერობისაგან იქნება დამოკიდებული. გაჩნდება ბიუროკრატიზმი. სოლქო ერობას ვერ მოვითხოვთ კიდევ იმიტომ, რომ შეიძლება სათათბიროთ სხვა თვალით შეხედოს ამას. შეიძლება დროებით კავკასიისთვის აღმოჩნდეს რამე საერთო ინტერესი. ამისათვის სექციამ საჭიროდ დაინახა, პროექტში შეტანილ იქნას უფლება საგუბერნიო ერობათა კავშირისათ.

მეორე მომხსენებელმა მ. გედევანიშვილმა დამატებით რამდენიმე მოსაზრება მოიყვანა სოლქო ერობის წინაალმდეგ. წვრილ საერობო ერთეულს, როგორც ხალხთან უფრო დაახლოვებულს, აზრად ექნება ჯერ მეურნეობის განვითარება და მერე კულტურულ საგანმანათლებლო მოქმედება. სამაზრო ერობა მეტ ყურადღებას მიაქცევს კულტურულ მხარეს და შემდეგ სამეურნეო აღორძინებაზე იფიქრებს. ასევე მოიქცევა საგუბერნიო და სოლქო ერობა. მაგრამ სოლქო ერობა სამეურნეო საქმეში ამიერ-კავკასიის სხვა და სხვა კუთხის შორის შემაერთებელის როლს ვერ ითამაშებს, ხოლო საგანმანათლებელო და საკულტურო საქმეში შეიძლება გამოიწვიოს კიდეც უთანხმოება სხვა და სხვა ერთა შორისათ.

ა. ფიშერმა სტატისტიკურის ცნობებით დაამტკიცა, რომ ის დაწესებულებები, რომელნიც საერთო საერობო თანხით ინახებიან, მესაძლაც ვერ ემსახურებიან საერთო ინტერესებს. საბებიო ინსტიტუტი, მიხეილის საავადმყოფო, საფერშლო სკოლა, მხოლოდ ტფილისის და რაოდენამდე გუბერნიის მცხოვრებთა ინტერესებს ემსახურება, მაშინ როდესაც მათ შესანახად საერობო თანხიდან 317,000 მანეთი იხარჯება.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

**ალ. ა. ქალანთარი.** იმ მოსაზრებათაგან, რომელიც სოლქო ერობის წინაალმდეგ აქ წარმოითქვა, ყველაზე უფრო საყურადღებოა ფინანსიური მხარე. მართლაც, შეიძლება იმდენი ფული არ აღმოჩნდეს, რომ შესაძლებელი იყოს სოლქო ერობის დაწესებულებათა შენახვა. სხვა მოსაზრებანი კი კრიტიკას ვერ გაუძლებენ, რადგან ამიერ-კავკასიის მცხოვრებთ მრავალი საერთო ინტერესი აქვთ. მაგალით., გაჩნდა კალია, ხოლერა, ჭირი, ფილოქსერა. ასეთ შემთხვევებში მხოლოდ სოლქო ერობას შეუძლიან ნაყოფიერი მუშაობა. მართალია, საფერშლო სკოლა, საბებიო ინსტიტუტი დაშორებულნი არიან ზოგს გუბერნიას, მაგრამ იმ დაწესებულებებში სპეციალისტები გამოიზრდებიან და ისინი მთელ ამიერ-კავკასიის გაუწევენ სამსახურსათ. ორატორის აზრით, კრებამ აუცილებლად სოლქო ერობაც უნდა ითხოვოს.

ქალანთარს მხარი დაუჭირა თელავის წარმომადგენელმა ვერმიშევმა, ზაქათლისა—ქაბულოვმა, ხმოსანმა ლუნკევიჩმა და საკოვმა. ამ ორატორებმაც იგივე კალია, ჭირი, ხოლერა, ფილოქსერა მოიყვანეს საბუთად.

**ივ. აფხაზი.** ორატორმა მოაგონა კრებას სექციის დადგენილება, რომ საერობო დაწესებულებანი უნდა დამყარებულ იქნეს საერთო სამეურნეო ინტერესებზე. თუ ამ აზრით ვიხელმძღვანელებთ, საერთო ინტერესებს ვერა ვპოვებთ ამიერ-კავკასიის სხვა და სხვა კუთხის შორისათ.

**ალ. ი. ხატისოვი.** ორატორმა დიდხანს ილაპარაკა, სექციაში მე წინაღმდეგი ვიყავ სოლქო ერობისა, მაგრამ არა იმ მოსაზრებითა, რომელიც აქ ბ-ნმა გვაზავამ მოიყვანაო. საერთო ინტერესები უსათუოდ არის. მაგრამ მე თუ წინააღმდეგი ვარ სოლქო ერობისა, ეს მიტომ, რომ დღევანდელ პირობებში იგი მართლა ბიუროკრატიულ დაწესებულებად გადაიქცევა. სხვა პირობებში კი სოლქო ერობა დიდად ხელსაყრელი დაწესებულება იქნება. ბ-ნი გვაზავა ამბობს, ვითომ სოლქო ერობაში გამწვავდება ურთი-ერთობა ერებს შორის. არ მესმის, რატომ სოლქო ერობაში მოხდება ეს და არა საგუბერნიო და სამაზროში? ტფ. საგუბერნიო და სამაზრო ერობებშიაც ხომ ერთად ვიქნებით ჩვენ სომხები, რუსები, ქართველები, თათრები და ოსებიო. სექციაში უარ-ყოფილ იქნა ეროვნული დასაბუთება პროექტისა, აქ-კი ბ-ნმა გვაზავამ ეს დასაბუთება მოიყვანა.

**ალ. მდივანი.** ორატორმა მოითხოვა შეიცვალოს რიგი საკითხების განხილვისა. ჩვენ შენობას სახურავიდან ვიწყებთ. უმჯობესია საფუძვლიდან დავიწყოთ და სახურავამდე მივიდეთო.

**დ. ჩოლოყაშვილი** მიემხრო იმათ, ვინც წინააღმდეგნი იყვნენ სოლქო ერობისა.

**გ. გვაზავა.** ორატორმა პასუხი გასცა სოლქო ერობის მომხრეთ. არც ერთმა მათგანმა არ წამოაყენა საფუძვლიანი მოსაზრება საერთო ინტერესების სასარგებლოდ. ჭირი, ხოლერა ფილოქსერა,—ეს ხომ მუდმივი მოვლენა არ არის. უბედურება თუ გვეწვია რამ, ამისათვის, აკი მოგახსენეთ, დროებით შეიძლება შეკავშირდნენ საგუბერნიო ერობათ. ასეთი მაგალითი რუსეთშიაც ბევრია. მაგ. იაპონიის ომის დროს რუსეთის ერობები შეკავშირდნენ და მრავალი საერთო საქმე გააკეთეს. გათავდა ომი და კავშირიც დაიშალა. სოლქო ერობა თავისუფლების შემხუთველი იქნება და არა განმამტკიცე ული. თავისუფლება მხოლოდ თანხმობაზე დამყარებული კავშირია და არა ცენტრალიზმი. ტფ. საგუბერნიო ერობაში ერთად ვიქნებით სომხები და ქართველები, მაგრამ რა გვექნება გასაყოფი. ის სომხობა, რომელნიც ჩვენს ქვეყანაში საუკუნოებით სცხოვრობენ, შეითვისეს ჩვენი ენა, ზნე-ჩვეულება, ისინი ქართველებთან ერთად დაინტერესებულნი არიან ჩვენი ცხოვრების მოწყობისთვის და ერთადაც ვიმოქმედებთ, თუ უცხო ელემენტები შემოგვეპარებიან და მოინდომებენ ჩვენი ცხოვრების ბუნებრივ კალაპოტიდან გამოყვანას, მაშინ, რა თქმა უნდა, პროტესტს განვაცხადებთ და ვიტყვით, რომ მათთან საერთო არაფერი გვაქვს.

თავმჯდომარემ საკითხი გამორკვეულად სცნო. კენჭი უყარეს ბ-ნ ხატისოვის მიერ წარდგენილ რეზოლიუციას, რომელიც პირველმა სექციამ შეიმუშავა. კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „ამიერ-კავკასიის სოლქო ერობა ცნობილ იქმნას არა სასურველად დღევანდელს მდგომარეობაში: 1, ფინანსიურის მოსაზრებებით; 2. იმიტომ რომ სამეურნეო ფუნქციები, რომელიც უნდა იკისროს სოლქო ერობამ, შეიძლება საგუბერნიო ერობებმა შეასრულონ და 3. იმიტომ, რომ საზოგადო სამეურნეო ინტერესები ამიერ-კავკასიის გუბერნიებისა შეიძლება დაკმაყოფილებულ იქმნენ ერობათა კავშირებისა და საერთო კრებების მოწვევით, რომლის უფლებაც დაკანონებულ უნდა იქმნას საერობო დებულებით".

## ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **რუსეთის დასახლება ქართლში.** თავ. [illegible] არ ჩამორჩა სხვებს და მანაც გადაუწყვეტია, მიჰყიდოს უცხოელებს მიწა-წყალი. თავ. ამილახვარს, რაც მწირი და დასამუშავებლად გამოუსადეგარი ადგილები ჰქონდა, ძალა იყო თუ ნება, შეუსყიდნია ქართველ გლეხობისთვის, ხოლო საუკეთესო და ნაყოფიერი ადგილი გორის მახლობლად, სახელად „ტარიფონა", გადაუწყვეტია მიჰყიდოს პოლტაველ გლეხებს. თავ. ამილახვარი 150 მანათად ჰყიდის თურმე დესეტინას.

✦ **სომხების დასახლება კახეთში.** ამ დღეებში, როგორც გავიგეთ, 40-მდე სომეხი, უცხო ქვეყნიდან მოსული, წავიდა კახეთისაკენ ადგილების შესასწავლად. ეს სომხები კახეთში აპირებენ დასახლებას.

✦ **წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილებანი.** წ.-კ. საზოგადოების ქუთათური განყოფილება სწერს მთავარ გამგეობას, რომ ქუთაისის განყოფილებას აზრად აქვს ახლო მომავალში მოიწვიოს საზოგადოების განყოფილებათა წარმომადგენელნი და მათთან ერთად განიხილოს საკითხები სკოლებისა და სამკითხველოების გახსნისა და შენახვის შესახებ და აგრეთვე ის, თუ როგორ უნდა განაწილდეს განყოფილებათა შორის სამოქმედო რაიონი. ქუთაისის განყოფილებას გამგეობა სთხოვს მთავარ გამგეობას ცნობებს ქუთაისის გუბერნიაში არსებულ განყოფილებათა და მათ გამგეობათა წევრების შესახებ. გავიგეთ, მომავალ წელს თვით მთავარი გამგეობა მოიწვევს საზოგადოების ყველა განყოფილების წარმომადგენელთ აღნიშნულ საქმისთვის.

✦ **ქართული ენის განდევნა.** როგორც ნამდვილ წყაროებიდან გავიგეთ, ტფ. ვაჟთა მეორე გიმნაზიაში ქართული ენის გაკვეთილები საგრძნობლად შეუმცირებიათ. აღსანიშნავია, რომ ამ გიმნაზიაში ბევრი ქართველი სწავლობს.

✦ **გრიგოლ ვოლსკის ცხედრის წასვენება.** გუშინ განსვენებულ ვოლსკის ცხედარი ქვაშვეთის ტაძარში გადაასვენეს. დღეს, ნაშუადღევს 4 საათზე, ცხედარს რკინის გზით წაასვენებენ ბათომში იქაურ ქართველთა ტაძარში დასაკრძალავად. გუშინ ქვაშვეთის წმ. გიორგის ტაძარ

## ნიკოლოზ ბარათაშვილი

ერთ-მოქმედებიანი დრამატიული ფანტაზია ლექსად.*)

მ ო ქ მ ე დ ნ ი:

**ბარათაშვილი.**
**რუსთველის აჩრდილი.**
**მეფე ირაკლი.**
**სოლომონ მსაჯული.** (მოჩვენებანი).
**სოფიო,** ამისი ცოლი.
**მუზა პოეზიისა.**
**მომღერალთა გუნდი.**

პატარა, უბრალოდ მორთული ოთახი. ქვეშსაგებით დაგებულ ტახტზე სძინავს ახალხის ამარა საშინლად გამხდარსა და ფერმიხდილს ბარათაშვილს.

**ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი.**

(რამდენსამე ხანს შემდეგ შეშფოთდება, ახელს თვალებს, ათვალიერებს ოთახს და ტანჯვით).

ოჰ, ღმერთო ჩემო, ისევ აქა ვარ,
კვლავ უპატრონოდ მიტოვებული;
მშობლიურს ზრუნვას, მეგობრულს ალერსს
სიკვდილის წინაც კი მოკლებული!
მაშ, ყველაფერი სიზმარი იყო,
რაც ახლა ვნახე და დასტკბა გული
და უნდა მოვკვდე, მარტოდ-მარტოკა,
უცხო მხარეში გადმოკარგული?
ოჰ, ნუ თუ მართლა უნდა აღსრულდეს
ჩემზე ჩემგანვე წინასწარ თქმული?
ნუ თუ მას ღირსიც არ ვარ, რომ ვიყო
ჩემს სამშობლოში მე დამარხული?..
ოჰ, არა, არა!.. მინდა, საფლავი
მხოლოდ იქ მქონდეს, სადაც ვშობილვარ;
სადაც დედის ტკბილი „ნანა" მსმენია;
სად სიყვარული გულსა უგრძვნია
და სადაც პირველ აღვფრთოვნებულვარ:
თან მიტირია, თან მიცინია...
(მიეყრდნობა ბალიშებს და ხელ გაწვდილი)
მხარევ მშობელო, რო გონს მოსულვარ,
შენით დავმტკბარვარ, შენთვის ვტანჯულვარ;
შენ იყავ მხოლოდ ღვთაება ჩემი,
მაცოცხლებელი, შვების მომცემი!
მინდოდა, ჩემი ნიჭი და ძალა
შენს ფერხთა ქვეშე გარდამეშალა,
მაგრამ, ვაი, რომ ჩემი სურვილი,
ჩემი ამდენ ხნის ნატვრა-წყურვილი,
დღეს ჩემთან ერთად გულში ჩაკვდება
და სახელიცა ჩემიც გაქრება,
ისე, ვითარცა უმრავლესობის,
გამომხატველი სრულ არაფრობის!.
(დუმილს შემდეგ).
ვით ნაპოლეონს, გვამში სული ვერ დამტეოდა;
მეგონა, გვირგვინს დიდებისას მითხზავდა ბედი;
ხმა იდუმალი მაქეზებდა, მეუბნებოდა:
„ჟამი შენია და ჟამისა შენ ხარ იმედი;
ის კი არა თუ, აი, თურმე რა მიმელოდა:
ვერც კი აინთო, ჰქრება ჩემი შარავანდედი!..
(აიღებს იქვე მაგიდიდან სურათს).
ოჰ, დიდო შოთავ, მაპატიე კადნიერება,
რომ სანატრელად მქონდა მარად შენი დიდება,
რომ მარად შენკენ მოიწევდა ჩემი გონება
და მეც შენს გვერდით მიმზადებდა ადგილს ოცნება!..
არა, არ იყო ეს ჩემის მხრივ მდაბალი შური,
რომელსაც ბედში მყოფის მიმართ გრძნობს უბედური;
ეს იყო მხოლოდ მისწრაფებამ წმინდა, გულწრფელი,
რომ სამშობლოსთვის გამხდარვიყავ მეც საყვარელი;
რომ ქვეყნად ჩემის ყოფნის კვალიც არ აღგვილიყო:
ჩემი სახელიც შენ სახელთან დარჩენილიყო;
რომ ვით შენ უძლევენ დიდებული მამულს ნაწერი,
რომლითაც მარად იამაყებს ქართველი ერი;
მეც მეძლვნა მისთვის მცირედ მაინც მისი სადარი,
მაგრამ, ჰა, ვკვდები და ეს ნატვრა კვლავ ნატვრად
არი!
(უეცრად თვალწინ დაუდგება რუსთველის აჩრდილი, რომელსაც თან გაოცებული და თან გახარებული შესჩერებს).

**აჩრდილი** (მტკიცედ).

არა!.. დამშვიდდი, ჩვენი სახელი
აწ ერთნაირად სასახელოა;
ერთად გვატარებს გულში ქართველი,
ვიდრემდის ქვეყნად საქართველოა!

**ბარათაშვილი** (მღელვარებით).

რას ამბობ, ვინ მე, ბედკრულიშვილი
უდროო დროის, გარდამავალის,
და ვინ რუსთველი, გამოჩენილი,
დიდი მგოსანი დიდის თამარის?!..
ოჰ, გვქონდა ჩვენც დრო, როცა ცხოვრება
ერთიან, ძლიერ საქართველოსი
იყო სასწაულ-საკვირველება
და საარაკო რაღაც ეპოსი,—
და გაჩნდი კიდეც შენ, დიდი შოთა,
და აუღერე საამოდ ქნარი;
რჩეულმა შვილმა საოცარ დროთა
შეჰქმენ პოემა გასაოცარი;
იგი ჰიმნია თითონ თამარის
და თან სურათი იმ ნეტარ დროისი,
როს ჰქუხდა ქვეყნად სახელი ქართლის,
როცა უდგა მას „ხანა ოქროსი"!..

**ა ჩ რ დ ი ლ ი.**

დაგვიდგა სხვა დროც, დრო წამებისა,
დრო „გმირთა-გმირის", „პატარა კახის",
დრო საშინელის განსაცდელისა
მთელ საქართველოს და ქართველ ხალხის
და, ჰა, ქვეყანას შენ მოევლინე,
გამომსახველად ამა დროისა
და ვაშა შენ, რომ ერს აგრძნობინე,
როგორც სწყდებოდა ბედი ქართლისა!
„ბედი ქართლისა"—ესეც ჰიმნია,
ჰიმნი მეფისა, სუსტ და ძლიერის,
და თან მდუღარე სისხლის ცრემლია
თავისუფლების დამკარგველ ერის;
„ბედი ქართლისა" „ვეფხვის ტყაოსანს",
მისებრვე დიად გრძნობით აღვსილი,
მხარს უმშვენებს, ვით ირაკლი თამარს,
და ვით რუსთველსა ბარათაშვილი!
(მოუჯდება გვერდით და ხელს მოხვევს)

**ბარათაშვილი**

(ბედნიერების მღელვარებით).

„ბედი ქართლისა"... „ბედი ქართლისა",—
ეს ხომ უბრალო ცდაა კალმისა
ჯერ კიდევ უწრთვნელ ჭაბუკის მგოსნის
და რა დარია „ვეფხვის ტყაოსნის"?!

**ა ჩ რ დ ი ლ ი.**

მგოსნობის ნიჭი, ეს ყველამ იცის,
ხნოვანებას არ ემორჩილება:
ერთი გულნადებს ჭაბუკი იტყვის
და მეორე კი რომ მოხუცდება!
ვით სიყვარული, ნამდვილი, წრფელი
მარტოკა ერთხელ ჩვენ შეგვიძლია;
მხოლოდ ერთი გვყავს ჩვენ საყვარელი
და სხვა-კი ყველა მოგონილია.
მგოსანსაც ერთი რამ აქვს სათქმელი
და ამბობს კიდეც ადრე, თუ გვიან;
რომ შეუშალოს ამაში ხელი
არა ძალასა არ შეუძლიან!
სხვა მისგან თქმული ან მზადებაა
მისთვის, ან მისივ განმეორებაა,
ან უბრალო დროს გატარება,
მხოლოდ წამითი სიამოვნება!
შენც უკვე სთქვი ის, რის თქმაც გინდოდა
და რისი თქმაც კი შეიძლებოდა;
მაგრამ ახლავე თვით დარწმუნდები,
რა დიდებული ნაწარმოები
არის პატარა „ბედი ქართლისა",
კავშირი წარსულ და მომავლისა!

(ხელს გაიწვდის, უეცრად ჰქრება წინა კედელი და გამოჩნდება შემდეგი სურათი: „მზე დამავალი მოჰფენს სხივებს მთიულეთისა ხეობას არს, და მშვენიერსა არაგვის პირებს ძველი ნარდახი ზედ გადმოჰყურებს. მუნ ბრძანდებოდა მეფე ირაკლი, მოწყენის თვალით გადმომზირალი; დაფიქრებული თვისთა ზრახვათა გაცაართობდა ქარვის მარცვალთა. თან ახლდა მეფეს თავის მსაჯული, ნიჭთა კეთილთა უხვად მორთული... დიდხანს უმზერდა მეფე მდუმარედ არაგვის წყალთა, მდენთა მწქეფარედ; ბოლოს მახვრალმან უბრძანა მსაჯულს").

(დასასრული იქნება)

*) დღეს, 9 ოქტომბერს, ბარათაშვილის სიკვდილის წლის თავია.

...ში გადაიხადეს პანაშვიდი. ცხედრის დასვენებას დაესწრნენ ქართულ გიმნაზიის მასწავლებელ-მოსწავლენი და მრავალი პატივისმცემელი. ცხედარი გვირგვინებით შეამკო სხვა და სხვა დაწესებულებამ.

✦ **მომღერალთა გუნდი ნაძალადევში.** გვთხოვენ დავბეჭდოთ: უკვე წელიწადია, რაც ნაძალადევში შესდგა ქართულ გალობა-სიმღერის მსურველთა ამხანაგობის გუნდი კონსტანტინე ჩარკვიანის ლოტბარობით. გუნდმა შეძლებისდა გვარად ნაყოფიც გამოიღო. გუნდი მიიწვიეს რამდენსამე საქველმოქმედო კონცერტზე, სადაც მონაწილეობას იღებდა. აგრეთვე მიიწვიეს მიცვალებულებზე რამდენსამე ადგილას (უსასყიდლოდ). გუნდში უმრავლესობას უადგილოდ დარჩენილნი შეადგენდნენ. შემდეგში ზოგს საქმე გამოუჩნდა და შეძლება აღარა ჰქონდა მონაწილეობა მიეღო, ზოგიც სხვა ქალაქში წავიდა, რის გამოც გუნდი ძალზე შესუსტდა. ეხლა ამხანაგობამ ხელ-მეორედ განიზრახა მომღერალთა რიცხვის გამრავლება. ჩარკვიანი გვპირდება, რომ არ მოგვაკლებს მეცადინეობას და უსასყიდლოდ ასწავლის გუნდს როგორც საერო, ისე საეკლესიო სიმღერებს, რისთვის დიდ მადლობას უძღვნის ამხანაგობა, ამასთან მივმართავთ გალობა-სიმღერების სწავლის მსურველთ, მობრძანდნენ და მონაწილეობა მიიღონ გუნდში. მსურველს შეუძლიან გაიგოს პირობები მეპურე მელიტონ ლოლობერიძესთან; ადრესი: ნაძალადევი, მაგისტრალნი ქუჩა, № 2, სახლი ჩარკვიანისა.

✦ **სოკოთი მოწამვლა.** სოფელ დგვრისიდან (გორის მაზრა) გვატყობინებენ: ვასო მინდიაშვილის ქვრივს ბაღში სოკო მოეკრიფა, შეეწვა და ჭამით თითონაც და ბავშვებსაც. სოკო შხამიანი გამომდგარა. მოწამლულან და გარდაცვლილან თითონ დედა და ორი ბავშვი. შემთხვევით გადარჩენილა ორი სხვა ბავშვი. მაგრამ ისინი ღვთის ამარად არიან თურმე დარჩენილი — პატრონი არავინა ჰყავთ.

✦ **ნამესტნიკის ჩამოსვლა.** გუშინ, 8 ოქტომბერს, რუსეთიდან დაბრუნდა თავის მეუღლითურთ კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი. სადგურზე მისაგებებლად შეიკრიბნენ ნამესტნიკის თანაშემწენი, გენერლობა და სხვა და სხვა დაწესებულებების წარმომადგენელნი, ქალაქის თავის მოადგილე და სხვანი. ქალაქის თავის მოადგილე მოკლე სიტყვით მიეგება ნამესტნიკს.

✦ **გრიგოლ რობაქიძის ლექცია.** 20 ოქტომბერს ბ-ნი რობაქიძე ქართულ თეატრში წაიკითხავს ქართულად საჯარო ლექციის შესახებ მგოსნის ნიკოლოზ ბარათაშვილისა ამ სათაურით: „სულიერი დრამა ნიკოლოზ ბარათაშვილისა“. ლექციის დაწყებამდე ბ-ნი ივ. გომართელი წაიკითხავს ბარათაშვილის მოკლე ბიოგრაფია—დახასიათებას, ხოლო თავ. ნიკოლოზ ერისთავი წარმოსთქვამს პოეტის საუკეთესო ლექსებს.

✦ **უპასპორტოები.** მეექვსე საპოლიციო ნაწილში ჩხრეკის დროს პოლიციამ შეიპყრო 10 უპასპორტო კაცი.

✦ **დაზღვევა ქონებისა და შემოსავლისა.** ნება დართულ იქნა, რომ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორასთან არსებულ შემნახველ კასსაში მიიღონ დაზღვევა ქონებისა და შემოსავლისა. პირობების გაგება შეიძლება კანტორის კანცელარიაში.

✦ **ქართველ სომეხ ფილოლოგთა კრება.** როგორც გაზ. „მშაკი“ იუწყება, გუშინ, ოქტომბრის 8-ს, საღამოს 7 საათზე, ტფილისის სომეხთა ეთნოგრაფიულ საზოგადოების კანცელარიაში უნდა მომხდარიყო კრება, რომელსაც უნდა შეემუშავებია ამ გაზაფხულზე განზრახულ სომხურ-ქართულ ფილოლოგიის მუშაკთა კრების პროგრამა. პროფესორ მარრისაგან უკვე მოსულა დეპეშა, რომ სამეცნიერო აკადემიამ მიიღო ეს კრება თავის მფარველობის ქვეშაო. სომხურ-ქართულ ფილოლოგიის მუშაკნი მიწვეულნი იყვნენ სხდომაზე, სადაც მათ საშუდამოდ უნდა შეემუშავებინათ კრების პროგრამა.

✦ **ეგზეკუციის მოხსნა.** როგორც „კავკ.“-შია გამოცხადებული, სოფ. ჯურუყვეთს (გურია) მოხსნეს 9 ივლისიდან ჩაყენებული ეგზეკუცია.

✦ **კატორღა სიკვდილის ნაცვლად.** ნამესტნიკის მოადგილემ უვადო კატორღა მიუსაჯა მ. ცინცაძეს, ს. ბუხატაშვილს, ა. გოგაშვილს, ა. ძამუკაშვილს და რ. მეთოდიშვილს, რომელთაც სამხედრო სასამართლოსაგან სიკვდილით დასჯა ჰქონდათ გადაწყვეტილი.

✦ **დაუჯერებელი ამბავი.** „კასპი“-ს პეტერბურგიდან დეპეშით დაუჯერებელ ამბავს ატყობინებენ: „რადგან სერგეი ფინლანდიელმა, ნიკოლოზ ვარშაველმა და ალექსი ტვერელმა უარი სთქვეს საქართველოს ეგზარხოსობაზე, როგორც გაზეთები გადმოქვეცემენ, სასინოდო წრეებში იმ აზრისა არიან, რომ ეგზარხოსის კათედრაზე დანიშნონ სოხუმის ყოფილი ეპისკოპოსი კირიონი“.

✦ 7 ოქტომბერს პოლიციამ შეიპყრო სიღნაღის მაზრის მცხოვრები ზაქარია ზურაბიშვილი, საგენერალ-[illegible] ... იუყენოხატორობიდან გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნებული.

✦ გორის მოქალაქემ ილია თავზარაშვილმა განაცხადა პოლიციაში, რომ ვაჭრობის დროს იმასა და მაღაზიის პატრონს არუთინ შაინოვს ჩხუბი მოუვიდათ. შაინოვმა მუშტი დაარტყა, ხოლო გარეგინ ოსეპიანცმა ხელში სტაცა ხელი. ამ დროს ისარგებლა ვიღაცამ და თავზარაშვილს გულიდან ააგლიჯა ვერცხლის საათი ძეწკვით, წაართვა ხელიდან მანჟეტები ზაპინკებით სულ 47 მანეთად ღირებული. შაინოვი და ოსეფიანცი შეიპყრეს.

# მოწერილი ამბები

**სიღნაღი.** „უძაღლო სოფელი ვნახე და უჯოხოთ დავიარებითო“, ზედ გამოჭრილია ეს ანდაზა ჩვენს ქალაქის თავზე ბ-ნ ვ. ი. ენიკოლოფოვზე. ბევრს ქალაქში მომხდენია ცხოვრება, ბევრი საანეგდოტო ამბები გამიგია ჩვენს კურთხეულს ქვეყანაში, მაგრამ ის, რაც ამ ჩვენს ქიზიყის დედა ქალაქ სიღნაღში ხდება, უცელა დაუჯერებელია. ხშირად ვერ გაიგონებთ იმას, რაც ბ-ნმა ენიკოლოფოვმა ქალაქის სამართველოს დარბაზში 29 ენკენისთვეს ჩაიდინა. ამ საღამოს ქალაქის თავისა და იმის თანაშემწის არჩევანი უნდა მომხდარიყო. შეიკრიბა კარგა ბლომა ხალხი დანიშნულ დროს, საღამოს 7 საათზე. დარბაზი გაჩაღებული გახლდათ. ქალაქის ერთმა ხმოსანმა მოიწვია ამხანაგები მაგიდასთან, ათნი ვართ და საქმეს შევუდგეთო. დაიწყეს ხმოსნების თვლა და აღმოჩნდა, რომ მარტო ცხრა ხმოსანი მოსულიყო. ელოდნენ ნახევარ საათსაც და რომ აღარავინ შემოვიდა, ქალაქის თავმა მდივანს აქტი შეადგენინა—კრებას ვხურავ, რადგან კანონიერი რიცხვი ხმოსნებისა არ გამოცხადდაო. აქ ზოგიერთმა ხმოსანმა მოახსენა—ცოტახანი კიდევ მოუცადოთ, იქნება მოვიდეს ვინმეო, ან გავგზავნოთ თქვენს თანაშემწესთან ბ-ნ ტერ-მათეოზოვთან, ან ბაზრის ზედამხედველთან ბ-ნ კოტე ნადირაშვილთან, ან ხმოსან არტემ შავერდოვთან: ამ საღამოთი ორი უკანასკნელი ბულვარზე დასეირნობდა, ხოლო პირველი კიდევ დღეს გამგეობაში უგნებლად მოისვენებდა სავარძელშიო. გთხოვთ თავი შეიწუხოთ და და მობძანდნენ კრებაზეო. არა ღირს ტყუილათ გაჭქირი, არცა აქვთ მიზეზი ობსტრუქციისაო. მაგრამ ქალაქის მამამთავრამა აღელვებულის ხმით უპასუხა: მეორე კრებისთვის შემოიტანეთ სხოვნა და მაშინ გავიგებთ მოუსვლელობის მიზეზსო. ეხლა კი არავისაც არ გავგზავნიო.

ამის შემდეგ მოხუცმა ხმოსანმა ბ-ნ ივ. ლუკ. უავრიშვილმა მოწიწებით მოახსენა ბ-ნ ქალაქის თავს: ეს ერთი წელიწადი გავიდა, რაც ჩვენ ამოვირჩიეს და ამიდგის ახალი ქალაქის თავი და მისი თანაშემწე ვერ ავგირჩევია. როდისღა რამე უნდა გავაკეთოთო. აქ კი ვეღარ მოითმინა ბ-ნმა ენიკოლოფოვმა და პირდაპირ სიღნაღური უგირილი მორთო: „თქვენ არაფერი არ გესმით! თქვენ უცხეილისფერში დამნაშავენი ხართ! მე ნებას არ მოგცემთ აქ ლაპარაკისასა და სხვა და სხვა. გთხოვთ აქედან მიბძანდეთ, რადგან კრებას ვხურავო. ქალაქის მამები, როგორც ეტყობოდათ, შეჩვეულნი უოფილან ასეთ რამეს, მათ მალე იკადრეს დარბაზის დაცლა. მაგრამ გზა-გზა ერთმანეთში ლაპარაკი გააბეს. ეს ქალაქის თავს არ მოეწონა და ბძანების კილოთი აღელვებულმა დაიძახა—მე ნებას არ გაძლევთ საკრებულოს ჭერ ქვეშ ილაპარაკოთო“. ერთმა დამსწრეთაგანმა აღელვებულმავე მიმართა ენიკოლოფოვს: „რა ნება გაქვთ, რომ კერძო ლაპარაკსაც კი უშლით ხმოსნებსაო? აქ კი ქალაქის მამათ-მამა საზღვარს გადავიდა და მოჰყვა ღრიალს—მალე გადით ამ დარბაზიდან, კარები უნდა დავკეტოო. ბევრი იმისთანა სიტყვა იხმარა და იმისთანა კილოთი, რომ სულაც არ შეეფერებოდა ქალაქის თავს.

ამ გვარად გათავდა 29 სექტემბრის კრება და იმის მაგიერ, რომ ახალი ქალაქის თავი და მისი თანაშემწე აერჩივნათ, ხმოსნებიც და დამსწრე საზოგადოებაც გაღიზიანებული და გაზანდურებული დაიშალნენ. იკითხავთ, რა არის მიზეზი, რომ 29 სექტ. [illegible] არ შესდგა [illegible] და ქალაქის თავი ასე უზრდელათ მოიქცაო. ერთად-ერთი მიზეზი ის გახლავთ, რომ აქ დამსწრე ხმოსნებს აღარა სურთ ბ-ნი ენიკოლოფოვი კიდევ აირჩიონ, თუმცა უკანასკნელმა უცელა ღონისძიებას მიჰმართა მათის გულის მოსაგებად, მაგრამ 29 სექტემბერს სოფელ გურჯაანში დელეგატი გაუგზავნეს თავიანთ კანდიდატს ბ-ნ ს. გოძიევს—ან თვითონ გამოცხადდი, ან ნებართვის ქაღალდი გამოგვიგზავნეო. ეს ვერ მოითმინა ბ-ნმა ენიკოლოფოვმა და იმ საღამოსვე ბულვარზე კრება გამართა სიღნაღის ბულვარის კომიტეტის ორიოდე წევრთან. ამ შესანიშნავმა საბჭომ გადასწყვიტა, არ გამოცხადებულიყვნენ ბ-ნ ენიკოლოფოვის მომხრეები, რომ ამით კრება ჩაშლილიყო. ამასთან „ბულვარის გაზეთში“-აც იყო გამოცხადებული, რომ იმ დრომდე არ შესდგება კრება, ვიდრე ან ენიკოლოფოვს არ აირჩევენ, ან კიდევ თავიდან არ მოიშორებენ საშიოდე ხმოსანს, რომელნიც ოპოზიციას უწიონამძღვრებენ. ისიც გახლდათ გამოცხადებული „ბულვარის გაზეთში“ რომ თუმცა ბ-ნი სერგო გოძიევიც სომეხია, მაგრამ იგი არ ეკუთვნის იმ სომეხ შოვინისტთა გუნდს, რომელთაც თავიანთ კერძო ინტერესს იცავენ და ხალხს კი ატყუებენ. იმიტომ არ მოსწონთ სერგო გოძიევი, რომ იგი სიმართლის მოყვარული და პატიოსანი კაცია და ნაძირალა და ქვეშემძრომ ვაჟბატონების ხაქციელს ხელს არ დააფარებს.

ბ-ნი ენიკოლოფოვი 4 წელიწადი ქალაქის თავის თანაშემწედ იყო და ეს ხუთი წელიწადი კიდევ ქალაქის თავად, მაგრამ არაფერი ქალაქისთვის არ გაუკეთებია. თვით „ბულვარის კომიტეტის“ წევრნი ხმა მაღლა ლაპარაკებენ მის უსაქმობასა და შეუფერებლობაზე, მაგრამ მაინც „თავიანთი კაცია და არ უნდათ ცოტათიც არის ღირსეული კაცი აირჩიონ ქალაქის თავად, რადგან მათი გავლენა ქალაქის საქმეებზე ამით მოისპობა და მდგრიე წუმპეში თევზს ვეღარ დაიჭერენ.

**ახალი მოქალაქე.**

# გრიგოლ ვოლსკის გარდაცვალების გამო

რედაქციამ შემდეგი დეპეშები მიიღო:

**ბაქო.** გადაეცით დაუვიწყარ გრიგოლ ვოლსკის დას ჩემი გულწრფელი მწუხარება. **ეფემია მესხი.**

**ერევანი.** დიდად ვწუხვარ ნიჭიერ მწერლის და უანგარო მოღვაწის ვოლსკის უდროოდ დაკარგვას. **დუტუ მეგრელი.**

**ქუთაისი.** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთათურ განყოფილების გამგეობა ძალიან დაალონა მწერლის და საზოგადო მოღვაწის გრიგოლ ვოლსკის მოულოდნელმა სიკვდილმა. გთხოვთ გადასცეთ ჭირისუფალთ ჩვენი გულწრფელი თანაგრძნობა. **გამგეობის თავმჯდომარე ზდანოვიჩი.**

**ზაქათალა.** გული დაგვწყვიტა მწერლის და საზოგადო მოღვაწის გრიგოლ ვოლსკის მოულოდნელმა სიკვდილმა. **ზაქათალელი ქართველები.**

**სოხუმი.** ჩვენ ღარიბ მუშაკთა გუნდს მოაკლდა მხნე მოღვაწე გრიგოლ ვოლსკი. სოხუმელი ქართველები და მე ვგლოვობთ მის დაკარგვას. **ნიკო თავდგირიძე.**

**ქუთაისი.** ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებელნი ჰგლოვობენ ძვირფას პოეტის და მოღვაწის გრიგოლ ვოლსკის დაკარგვას. **ოცხელი.**

# ქართველი სტუდენტობა მოსკოვში

(წერილი მოსკოვიდან)

წელს მოსკოვის უნივერსიტეტს ქართველი სტუდენტობა გაცილებით მეტი მიაწყდა, ვიდრე ჩვეულებრივ ჩამოდიოდა ხოლმე. მათი რიცხვი უდრის დაახლოვებით 30—40 კაცს; უმრავლესობას შეადგენენ ახლად გიმნაზია დამთავრებულნი. ზოგიერთები კი სხვა ქალაქის უნივერსიტეტიდან გადმოვიდნენ, განსაკუთრებით ბევრი გვეწვია ოდესიდან. დღეს მოსკოვის უნივერსიტეტში 100—120 ქართველი სტუდენტი იქნება. საერთოდ თუ ავიღებთ მოსკოვის სხვა და სხვა უმაღლესს სასწავლებელს, მათ შორის ქალებისას, მაშინ ქართველი, ქალი და კაცი, ორასამდე გამოვა. ქალი იქნება 20—25. სამშობლოს გარეშე მყოფ ესოდენ ახალგაზრდას საერთო რამე დაწესებულება, წრე, უნდა ჰქონდეთ, სადაც შეეძლოთ თავის მოყრა, ერთმანეთის ნახვა, აზრთა გაზიარება, დროს გატარება, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ გვარს ეხლა ვერაფერს ვხედავთ. დაქსაქსულნი არიან და ყველა თავისთვის სცხოვრობს. მართალია, არსებობს სათვისტომო წრეები (უნივერსიტეტში, საკომერციო ინსტიტუტში, ქალების კურსებზე), მაგრამ მათი არსებობა მეტად უსიცოცხლოა და ნაკლებ შინაარსიანი. მათგან მეტს უნდა მოველოდეთ და ისინი მეტს მუყაითობას უნდა იჩენდნენ, მაგრამ სად არის!

ამ ჟამად გაცნობებთ, თუ რა გაუკეთებიათ და რის გაკეთებას აპირებენ ჩვენი სტუდენტების წრეები. მართლა არ გეგონოთ, რომ სრულიად გულხელდაკრებილნი ისხდნენ.

ერთად-ერთი ყოველ წლიური სამუშაო ჩვენის სტუდენტებისა, როგორც თქვენც უწყით, ქართულ საღამოს გამართვაა. წელსაც, როგორც ყოველთვის, ჩამოსვლისათანავე შეიკრიბნენ, მოილაპარაკეს და აირჩიეს ჩვეულებრივი სათეატრო კომისია, რომლის მოვალეობასაც შეადგენს საღამოს გამართვა. სათეატრო კომისიას მიუჩინეს სარევიზიო კომისიაც, რომელიც დღეიდანვე თვალ-ყურს უნდა ადევნებდეს სათეატრო კომისიის მუშაობას. წელს მოსკოვის ტრადიციონული ქართული საღამო 1 ნოემბრისათვის არის დანიშნული. ოფიციალური გამგე, როგორც ყოველთვის, თავ. ალ. ივ. სუმბათაშვილია.

რაც შეეხება „ქართულ კულტურის მოყვარულთა წრე“-ს, არც ის აპირებს უსაქმოდ ჯდომას, როგორც წრის გამგეობის განცხადებები გვაუწყებენ. წრე აპირებს აღნიშნოს ე. ნინოშვილის გარდაცვალების 15 წლის თავი. ჯერ-ჯერობით პროგრამა გამორკვეული არ არის, მაგრამ, როგორც გადმოგვცეს, შინაურულ საღამოს გამართვას აპირებენ უნივერსიტეტშივე. წაკითხული იქნება რამდენიმე რეფერატი, მწერლის დამახასიათებელი, მისი ბიოგრაფია და სხვა. წრე ემზადება აღნიშნოს აგრეთვე ილიას დაბადების დღე, 27 ოქტომბერი, განზრახულია წაიკითხონ მისი ლექსები და ზოგიერთი ადგილები პოემებიდან, შეიძლება მოთხრობიდანაც, იმღერებს ქართული ხორო სტუდენტებისა, წაიკითხავენ რეფერატებსაც.

სხვა წრეების მოქმედების შესახებ ჯერ არაფერი გვსმენია. არ ვიცით, რას აპირებენ.

—

ორიოდე სიტყვა ცხოვრების პირობებზე. ოთახები ჩვეულებრივ ძვირია. უნივერსიტეტის მახლობლად თუ გინდა დაბინავდე, უკანასკნელი 20-25 მანეთი უნდა გაიღო ოთახის ქირად. თუ შორს, 5-7 ვერსის მანძილზე უნივერსიტეტიდან, შეიძლება 12-15 მანეთად იშოვნო, მაგრამ რა გამოვიდა: თუ სისტემატიურად იარე ლექციებზე, დღეში ორჯერ თუ არა (ლექციები იკითხება დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე), ერთხელ მაინც უნდა მიხვიდე, ისეა განაწილებული ლექციები. ყოველთვის ფეხით ვერ ივლი ამ სიშორიდან, განსაკუთრებით ზამთარში. ასე რომ თუ ტრამვაის ხარჯს ჩავთვლით, ოთახი იმავე ფასად დაჯდება, რაც ახლოა, ზედ-მეტი კიდევ დროს დაკარგვა იქნება. სადილი ერთი თავი 6 მანეთია; ორი თავი სადილი 9 მან. ახლა, ჩაი, შაქარი, პური დილა-საღამოს, სარეცხი და სხვა წვრილმანი,—თვეში სტუდენტს უეჭველად 30-35 მანეთი უნდა, რომ შიმშილით არ მოკვდეს. ჩვენების უმრავლესობას კი 25 მანეთზე მეტი არ მოსდის. ამგვარად ჩვენ სტუდენტობას ყოველთვის ფული აკლდება და სანახევროდ დროს იმის ძებნას ანდომებს, რაიცა სწავლას ხელს უშლის. მიუმატეთ ამას უნივერსიტეტში შესატანი 100 მანეთიც...

—

მოსკოვის ქართველთა საზოგადოებას დაუდგენია, მიაწოდოს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას პოპულიარული წიგნები, განსაკუთრებით საექიმო და საბუნებისმეტყველო დარგებიდან. ამ დადგენილების სისრულეში მოსაყვანად აურჩევიათ კიდეც კომისია, რომელშიაც შედიან ბ-ნნი ალ. ჯავახიშვილი, ექ. ლამბაროვი და, თუ არა ვცდებით, ცომაია. ამ კომისიას აურჩევია უკვე წიგნები სათარგმნელად და ამას წინად მიმართა ჩვენ სტუდენტობას, მსურველთ ეკისრათ წიგნების თარგმნა. საჰონორარიოდ, როგორც გვითხრეს, ქართველთა საზოგადოებას კომისიის განკარგულებაში მომავალ 1910 წლის იანვრამდი 15 თუმანი გადაუცია. ამ თანხიდან დააკმაყოფილებს კომისია მთარგმნელებს. შემდეგში იმედი აქვს, კიდევ მიიღოს ფული ამ საქმის განსაგრძობად. აპირებენ სთარგმნონ საბუნებისმეტყველო დარგიდან ჯერ-ჯერობით ლუნკევიჩის თხზულებანი. საჭიროა, კომისიამ ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი თხზულება ლუნკევიჩისა უკვე გადმოთარგმნილია. რაც შეეხება ჰონორარს, კომისიას დაუდგენია აძლიოს მთარგმნელებს 1000 რუსულ ასოში ხუთი შაური. სტრიქონზე ეს მოდის $1^1/_4$ კაპეიკი. **ლამურა.**

# ლომბროზო

დეპეშამ მოგვიტანა ცნობილ მეცნიერის ლომბროზოს გარდაცვალების ამბავი.

ლომბროზო დაიბადა ვენეციაში 1836 წელს. ახალგაზრდობა მეტად დიდ გაჭირვებაში გაატარა. შეთქმულებებში მონაწილეობის მიღებისათვის დაპატიმრებულ იქნა. ლომბროზომ და მისმა მოწაფეებმა გადასინჯეს არსებული სისხლის სამართლის მეცნიერული საფუძვლები. მისი პირველი მეცნიერული შრომა შეეხებოდა კრეტინიზმს. 1855 წლიდან ლომბროზომ ბევრი რამ გამოაქვეყნა ჟურნალ-გაზეთებში პსიხიატრიის შესახებ. ხოლო 1862 წ. პსიხიატრიის კათედრა მისცეს პავიის უნივერსიტეტში. შეისწავლა დამნაშავეთა ტიპები, მათი ფიზიკური და პსიხიური მხარეები და იმ დასკვნას დაადგა, რომ შეიძლება დამნაშავის ბუნების შეტყობაო. ისიც კი შეიძლება გაიგოს კაცმა თუ დამნაშავე რომელ კატეგორიას ეკუთვნის—ქურდებს, მკვლელებს თუ სხვას. შეისწავლა დამნაშავის ტვინი, ხელები, ყურები, თმის ფერი და გადაჭრით აღიარა, რომ დამნაშავის ბუნებაში მემკვიდრეობის კანონის ძალით მოთავსებულია წინაპართა ყველა პსიხო-ფიზიკური თვისებანიო. სისხლის სამართალს ლომბროზო უყურებდა, როგორც ფსიქოლოგიისა და პატალოგიის ერთ-ერთ დარგს. უნდა შეიცვალოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაო, მორალურ მეცნიერების დარგიდან იგი გადატანილ უნდა იქნას სოციოლოგიურსა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებაშიო.

ლომბროზომ, სხვათა შორის, დასწერა წიგნი პოლიტიკურ დამნაშავეთა შესახებ. გაარკვია რევოლიუციისა და აჯანყების შინაარსი და ის აზრი გამოსთქვა, რომ რევოლიუცია, როგორც ისტორიულ ევოლუციის გამოსახულება, ფიზიოლოგიური მოვლენაა, ხოლო აჯანყება-პატალოგიურიო. ამ ბოლო დროს გამოაქვეყნა შრომა დამნაშავე დედაკაცთა შესახებ. პირველ ნაწილში დახასიათებულია ნორმალურ დედაკაცთა ტიპი. საერთოდ ის აზრია გატარებული, რომ დედაკაცი დიდად განირჩევა მამაკაცისაგან თავის პსიხიურისა და ფიზიკურ თვისებებითა და ორგანიზაციით.

ლომბროზოს ბევრი მოწინაალმდეგე ჰყავდა. მეცნიერებმა კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს მისი მოძღვრება და შეხედულებანი. თუმც ბევრი რამ უარ-ჰყვეს ლომბროზოს დებულებათაგან, მაგრამ მისი მნიშვნელობა მეცნიერებაში მაინც დიდია.

# რუსეთი

✦ **ირკუტის საგენერალ-გუბერნატოროს გაუქმება.** „რეჩი“-ს სიტყვით მთავრობას საბოლოოდ გადაუწყვეტია გააუქმოს ირკუტის საგენერალ-გუბერნატორო. გააუქმებენ ჯარის უფროსის და გენერალ-გუბერნატორის თანამდებობებს, საინტენდანტოს, სამხედრო სასამართლოებს და სხვა. ყველაფერი ეს 2 მარტისთვის უნდა დასრულდეს.

✦ **სიკვდილით დასჯა.** გადაწყვეტილი აქვთ: კრასნოიარსკში 4, ეკატერინოსლავში 3, ვარშავაში 10, სარატოვში 1, კრემენჩუგში 3, ნიკოლაევში 2, პეტერბურგში 2 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: ვარშავაში 2, პეტერბურგში 1, ხარკოვში 1, რეველში 1, კრასნოიარსკში 2 კაცი.

✦ **პოლონელ მეცნიერთა კრება.** „რეჩ“-ს ვარშავიდან ატყობინებენ: 28 სექტემბერს დაიწყო პოლონელ მეცნიერთა კრება. კრებაში მონაწილეობას იღებს 280 კაცი. ეს კრება პოლონელ მეცნიერთა პირველ კრებად უნდა ჩაითვალოს. იყო წინადაც ასეთი კრებები, მაგრამ არა პოლონეთში, არამედ სხვაგან. ეხლა კრება გაიმართა პოლონეთის სატახტო ქალაქ ვარშავაში. კრებას თავმჯდომარეობს ცნობილი მეცნიერი პროფ. ბაბინსკი (პოლონელი) კრებას აუარებელი მისალოცი დეპეშები მოსდის.

✦ **სახელმწიფო სათათბიროს შედგენილობა.** ამ ჟამად სახელმწიფო სათათბიროში სულ 439 დეპუტატია, აქედან:

| | | |
|---|---|---|
| მემარჯვენეები | 48 | დეპუტატი |
| ნაციონალისტები | 20 | „ |
| ზომიერი-მემარჯვენეები | 79 | „ |
| ოქტომბრისტები | 132 | „ |
| უპარტიო მემარჯვენეები | 9 | „ |
| უპარტიო მემარცხენეები | 1 | „ |
| ლიტვ. და ბელორუ. კოლო | 7 | „ |
| პოლონური კოლი | 10 | „ |
| პროგრესისტები | 40 | „ |
| მაჰმადიანთა ჯგუფი | 9 | „ |
| კადეტები | 54 | „ |
| შრომის ჯგუფი | 14 | „ |
| სოციალ-დემოკრატები | 16 | „ |

როგორც ამ რიცხვიდან სჩანს ოქტომბრისტების რიცხვი სათათბიროს ერთ მესამედზე ნაკლებია. თუ ოქტომბრისტები და ზომიერი მემარჯვენეები შეთანხმდებიან, მაშინ ოქტომბრისტებს 211 ხმა ექნებათ, ე. ი. ნახევარზე ნაკლები, თუ მხედველობაში მივიღებთ უპარტიო ზომიერებს, მაშინაც ოქტომბრისტებს ნახევარზე ერთი ხმით მეტი ექნებათ. ამრიგათ საკმაოა ერთმა—ორმა უპარტიომ ხმა არ მისცეს ოქტომბრისტებს, რომ მათ მუდამ გადამწყვეტი ხმა ჭალარ ჰქონდეთ.

✦ **გაფიცვა.** „რუსკ. სლოვოს“ ვარშავიდან დეპეშით ატყობინებენ: „აბრეშუმეულობის ქარხანაში 400 მუშა—ქალი გაიფიცა. მიზეზი—ორი ქალის დათხოვნაა. დირექტორ ორლოვსკის გაფიცულები სტვენით მიჰყვებნენ. გაფიცულებს უნდოდათ ორლოვსკის ტომარაში ჩაგდება და ქარხნიდან გამოყვანა. მაგრამ ვეღარ მოახერხეს. პოლიციამ დააპატიმრა 14 ქალი.

✦ **ოდესსის გრადონაჩალნიკი.** ოდესსის გრადონაჩალნიკ ტოლმაჩევს ორი

თვით სატუსაღოში ჩაუსვამს საგაზეთო ბიუროს „იუგის" კორესპონდენტი კოტლემანი. კოტლემანმა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის არჩევნების დროს პეტერბურგის გაზეთებს შეატყობინა, მემარჯვენეებმა ამომრჩევლების კრება გამართეს, კრებას გრადონაჩალნიკი ტოლმაჩევი და პურიშკევიჩი დაესწრნენ, ამ კრებაზე არ შეუშვეს პროგრესიულ გაზეთების ორი კორესპონდენტი და ამასთან კიდეც სცემეს. გრადონაჩალნიკის „აზრით" ეს ცნობები „ტყუილია".

# უცხოეთი

**სიკვდილით დასჯილი ფერერო.**

ამ დღეებში სიკვდილით დასჯილი ფერერო ცნობილი ესპანიელი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე იყო, მან მთელი თავისი დიდი მხნეობა, განათლება, ნიჭი და ქონება მოახმარა ხალხის სამსახურს: იგი მედგრად ებრძოდა ესპანიაში გაბატონებულ კლერიკალებს, აარსებდა საერო თავისუფალ სკოლებს, ადგენდა მრავალ სახელმძღვანელოებს ამ სკოლებისთვის და სწერდა და სცემდა ხალხისთვის სასარგებლო წიგნებს. დატუსაღების წინა დღეებში იგი აბეჭვდინებდა ბარცელონაში კრაპოტკინის უკანასკნელ თხზულებას „დიდი რევოლიუცია", რომელიც თითონვე გადათარგმნა. ესპანიელ კლერიკალებს დიდი ხანია თვალში ეკლად მიაჩნდათ ფერეროს პატიოსანი მოღვაწეობა და თავისუფალი აზრები და გულით უნდოდათ მისი თავიდან მოშორება. ესპანიის კლერიკალურმა მთავრობამ რამდენჯერმე ნაირ-ნაირი შარი მოსდო ფერეროს და სამართალში მისცა იგი, მაგრამ სასამართლო მუდამ ამართლებდა ფერეროს. რადგან მისი უბრალოება ცხადი იყო ყველასთვის. მაგრამ კლერიკალებმა ეხლა ისარგებლეს მარჯვე შემთხვევით—ბარცელონის რევოლიუციით და სამხედრო წესებით,—ფერერო დაატუსაღებინეს, რევოლიუციის მეთაურად გამოიყვანეს და სამხედრო სამართალში მისცეს. სამხედრო სასამართლომაც დიდის ხალისით შეასრულა კლერიკალების ცუდითადი სურვილი და პატიოსან მოღვაწეს სრულიად უსაბუთოდ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. მთელმა პროგრესიულმა ევროპამ პროტესტი განაცხადა ასეთ მხეცურ განაჩენის წინააღმდეგ, მაგრამ ესპანიის მთავრობამ ყურადღება არ მიაქცია ამ პროტესტს და ფერერო თოფით დახვრეტინა...

ფერერო მამაცად, დინჯად შეხვდა სიკვდილს. ადსარების თქმაზე უარი განაცხადა და მთელი თავისი შეძლება—ორი მილიონი—თავის სკოლებსავე უანდერძა...

ფერეროს ორი ქალიშვილი და შვილიშვილები დარჩა. ისინი პარიზში ცხოვრობენ.

**ფერეროს საქმის გარჩევა**

ფერეროს საქმე სამხედრო სასამართლომ ხალხისა და პრესის წარმომადგენელთა დაუსწრებლად გაარჩია, მაგრამ პრესამ მაინც დაიბეჭდა ზოგიერთი ცნობა. გიხერს ის დროს ფერეროს უპოვეს თურმე სხვა და სხვა ქაღალდები და „არალეგალური წიგნები", მაგრამ იარაღი და ყუმბარები-კი, თუმცა პოლიცია გულმოდგინედ ეძებდა, მაინც ვერ უპოვეს. ფერეროს სხვათა შორის უპოვეს რევოლიუციონერების წერილები, „პლანი"—როგორ უნდა დაარსდეს რესპუბლიკა ესპანიაში და თავისუფალ მოაზრეთა თხზულებანი. ფერერომ გამოუცხადა სასამართლოს, რომ „მე ყოველთვის კარგი განწყობილება მქონდა რევოლიუციონერებთან, მაგრამ რესპუბლიკის დაარსების „პლანი"-კი პროვოკატორებმა შემომიგდეს გაჩხრეკის დროსაო; ბარცელონის რევოლიუციაში აქტიური მონაწილეობა არ მიმიღიაო: პოლიციას არა თუ არ დავემალეგიარ, პირიქით მე თითონ გამოვცხადდი მთავრობის წარმომადგენლებთან, როდესაც გავიგე, რომ დამეძებდნენო. მოწმეებმა—პოლიციის მოხელეებმა—უჩვენეს სასამართლოს, რომ ფერერო აქტიური ტერორისტიაო. ფერერომ ამის პასუხად სთქვა: მე არც ერთ პარტიას არ ვეკუთვნი, მე მხოლოდ დემოკრატი—პედაგოგი ვარო. მოწმეების ჩვენება სულაც არ მიკვირს, რადგან პოლიცია მუდამ მემტერებოდა, მან არა ერთხელ დახურა ჩემი სკოლები და ჩემი საყვარელი საქმე გაანადგურაო.

სასამართლოს თავმჯდომარემ გამოუცხადა ფერეროს; თქვენ უმთავრეს დამნაშავედ გცნობთ ბარცელონის რევოლიუციაში, რადგან თქვენი სახელმძღვანელოები რომ არა ყოფილიყო, ახალგაზრდობა ანარქისტულ აზრებს არ შეიითვისებდა და ესპანია დინჯად, წყნარად იქნებოდაო.

ბრალმდებელმა მოითხოვა ფერეროს სიკვდილით დასჯა და მთელი მისი ქონების ჩამორთმევა რევოლიუციის მსხვერპლთა —პოლიციის მოხელეთა და სხვათა სასარგებლოდ. ფერეროს დამცველმა სულ გააქარწყლა საბრალმდებლო ოქმის საბუთები, მაგრამ სამხედრო სასამართლომ მაინც სიკვდილით დასჯა მიუსაჯა ფერეროს და მისი დამცველიც დაატუსაღებინა...

**პროტესტი ესპანიის მთავრობის წინააღმდეგ.**

ესპანიის მთავრობის ასეთმა სიმხეცემ და ფერეროს მწარე-უწყალო ბედმა მთელი განათლებული ქვეყნიერება შეზარა. ყველგან, მთელს ევროპასა და ამერიკაში, ხალხი პროტესტს და ზიზღს უცხადებს ესპანიის მთავრობას, შფოთიან დემონსტრაციებს ახდენს ესპანიის საელჩოების წინ და ამავე დროს თავის გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებს უსამართლოდ დასჯილს ფერეროს.

რამწამს პარიზში გაიგეს ფერეროს დასჯის ამბავი, სოციალისტურმა გაზ. „ჰუმანიტე"-მ იმ წამსვე გამოსცა პროკლამაცია, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამი იყო: პარიზის ხალხო! გამოსთქვი შენი ცულისწყრომა, ესპანიის მთავრობის უკანასკნელი მსხვერპლი, ესპანიის ერის საუკეთესო შვილის სისხლი შურისძიებას გაღადებს. დროა გაბედვით მოიქცეთ". მართლაც და პარიზის მუშა ხალხმა დიდი დემონსტრაციები მოახდინა ესპანიის საელჩოს წინააღმდეგ. დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდნენ დეპუტატები ჟორესი, სემბა, ვაილიანი და სხვანი. ხალხი მღეროდა „ინტერნაციონალს", თან უყვიროდა: „ძირს მკვლელები", „ძირს მეფე ალფონსი", „ზიზღი ესპანიის მთავრობას", „დიდება და საუკუნო ხსენება ფერეროს". პოლიცია რომ არ მიშველებოდა, ცუდი დღე დაადგებოდა ესპანიის საელჩოს.

გლოვის ნიშნად პარიზის შრომის ბირჟამ და სამხრეთ საფრანგეთის ბევრმა მუნიციპალიტეტმა ფერეროს სიკვდილით დასჯის გამო ერთი დღით შეაჩერეს თავიანთი მოქმედება.

პარიზის მუნიციპალიტეტის პრეზიდენტმა წინადადება შეიტანა, რომ პარიზის ერთ-ერთ ქუჩის ფერეროს სახელი დაერქვას და რომ ქალაქმა თავის ხარჯით აღზარდოს ფერეროს შვილიშვილები.

ადამიანის უფლებათა ლიგამ ხელის მოწერა გამართა ფერეროსთვის ძეგლის ასაგებად. შრომის მთავარმა ფედერაციამ ურჩია ხალხს, ესპანიის საქონელს ბოიკოტი გამოუცხადეთო.

ფრანგული პრესა მიმართულების განურჩევლად ერთხმად ჰგმობს ესპანიის მთავრობის მოქმედებას და წინასწარმეტყველებს, რომ ესპანიის მთავრობა მალე პასუხს აგებს სამართლიანობისა და მართლმსაჯულების პრინციპების სასაცილოდ აგდებისთვისო.

ინგლისური პრესაც მკაცრად ჰგმობს ესპანიის მთავრობის მოქმედებას. ზოგიერთი გაზეთის აზრით, ფერეროს დასჯა—უბრალო მკვლელობააო. „დეილი ნიუს"-ი სწერს, ევროპის თხოვნამ ვერ მოალბო უწყალო რეაქციონერების გული. ფერერო მაინც მოჰკლეს. ამ მკვლელობით შერცხვენილი ესპანია არ დაივიწყებს არც ფერეროს ამაგს, არც მის სიკვდილს.

ინგლისის ტრედ-უნიონების საბჭომ გამოსცა მოწოდება, რომელშიც ნათქვამია; „ფერეროს სიკვდილით დასჯა—კაცობრიობის შეურაცყოფაა ესპანიის მთავრობის მიერ." დასასრულ საბჭო თანაგრძნობას უცხადებს ფერეროს ნათესავებს და იმედოვნებს რომ დაღვრილი სისხლი არ მოუკლავს ესპანიელებს სიყვარულს თავისუფლებისადმი".

ლონდონში ესპანიის საელჩოს მისავალი კარები დამით სისხლის ფრად შეღებეს ინგლისის ვაჭრები ბოიკოტის გამოცხადებას უპირებენ ესპანიის საქონელს.

ბელგიის სატახტო ქალაქ ბრიუსელში ხელის მოწერა გამართეს ფერეროს ძეგლისთვის. ბრიუსელის მუნიციპალიტეტი ორ ქუჩას არქმევს ფერეროს სახელს. მთელ ბელგიაში ბოიკოტი გამოუცხადეს ესპანიის საქონელს.

მთელს სამხრეთ ამერიკაში კრებებს ახდენენ და პროტესტს აცხადებენ ესპანიის მთავრობის წინააღმდეგ, ბაუენოს აირესში პროტესტის ნიშნად ორი დღით გაიფიცნენ მუშები. ქალ. როზარიოში ესპანიის საელჩოს ყუმბარა ესროლეს.

დიდი დემონსტრაციები მოახდინა აგრეთვე იტალიისა და გერმანიის მუშა ხალხმა. ერთის სიტყვით, მთელმა განათლებულმა და დემოკრატიულმა ევროპამ და ამერიკამ ერთსულოვნად ზიზღი გამოუცხადა ესპანიის ბარბაროსულ მთავრობას და მოითხოვა ესპანიის ამოშლა განათლებულ ქვეყნების სიიდან.

# წერილი რედ. მიმართ

უმორჩილესად ვთხოვ იმ პირთ, რომელთაც შარშან ჩემგნით ვარჯიშობისთვის მიიღეს წიგნაკი: „სიუხვე ხორბლისა და 'აიდუმლოება მიწის სიმდიდრისა და კარტოფილის მოყვა მოშენებისა" წერილით ან მე, ან გაზეთ „დროების რედაქციას დაწვრილებით შეგვატყობინონ რა შედეგი ჰქონდა იმათ წარმოებას, ე. ი. რა რიგად გამართეს ორმო, როდის დათესეს ერთი ხორბლის მარცვალი, რამთენჯერ ამოსულ ღეროს მიწა ირგვლივ მიაყარეს, რამდენი ღერო მისცა ერთმა პურის მარცვალმა და რამდენა ღალა მიიღეს პურის მარცვლიდან, ასეთივე ცნობა მოგვაწოდონ კარტოფილის მოყვა მოშენებაზე.

**ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილი.**

—

უმორჩილესად ვთხოვთ, ეს საპასუხო წერილი დაჰბეჭდოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში.

გაზეთ „დროების" მე-208 ნომერში იყო დაბეჭდილი ვინმე ხუცესის წერილი, რომელშიაც გვთხოვდა, მცხეთის სობოროკრებულს პასუხი მიგვეცა შემდეგ კითხვებზე: 1. „ანტიოქიის ძველი ეკკლესია თავისის მიდამოთი გვიწერია თუ არა ეკკლესიის საბუთებში, რიგორც ძველი ნაშთი? 2. თუ არ გვიწერია, რა მიზეზითა? ხომ იყო განკარგულება, რომ მაგვარი ნაშთები უნდა მიიღოს მფარველობის ქვეშ, მახლობელ შტატის ეკლესიის კრებულმა... 3. რა საბუთით, ან ვისის ნებით გადაუქცევიათ ის ძველი ეკკლესია საქათმედ, ბოსლად, რომ შიგ ქათმები, ძროხები და ღორები თურმე ბინადრობენ და ანტიოქიის მიდამოზე კერძო პირები აშენებენ სახლებს? 4. ნუ თუ ეს საქციელი არ გაშფოთებთ და რაში გამოიხატება თქვენი მისგამო ზრუნვა?"

ვინმე ხუცესს უნდა მოვახსენოთ, რომ არ გვიწერია არც ჩვენა და არც ჩვენ წინაპართ ეკკლ. საბუთებში, რადგან ხსენებული ნაეკლესიაარი (ეხლა მხოლოდ ცარიელი კედლები და არის, არც ხატებია შიგ, არც დღეობა იცის, არც ვინმე ლოცულობს და არც რამე წესი სრულდება) უხსოვარი დროიდან ყოფილა და არის კერძო მფლობელობაში. 1868 წელს, 3 აპრილს (აწ გარდაცვალებულია) მცხეთელ საეკკლესიო ყმას გაბრიელ ტუშურაშვილს უყიდნია გაბრიელ, იასე და გრიგოლ ხახუტაშვილებსგან მთელი ეკკლესიის გარშემო მიდამო, თვისის შენობებით: სახლი, გომური, საბძელი და სხვა, რომლის ნაშთებიც ისევ ეტყობა, და ხსენებულს ტუშურაშვილს და იმის შთამომავალს აუგია უკეთესი, დღეს იქ მდგომი, შენობები. ხახუტაშვილებს კი ჰქონიათ დასაკუთრებული, ნაჩუქარია თუ ნაყიდია აღარ ახსოვთ, უხსოვ, თითქმის თვით მეფეების დროიდან. თქვენ გვიბრძანეთ, ბატონო, ვინმე ხუცესო, რომელი კანონის ძალით შეუვიდეთ? ვინ გაბედავს ეხლანდელს დროში „კატის ეჟვნის შებმას". მრავალი ანტიოქისებური ნაშთია დატოვებული როგორც მცხეთის მიდამოებში, ისე მთელს საქართველოში უყურადღებოდ, მაგრამ მფარველობა არსაიდანა სჩანს. თუნდა ავწეროთ საბუთებში, ცარიელ კედლებ რას გამოვრჩეთ? ბრძანება იყო მხოლოდ ისეთ ძველ ნაშთებზე, რომლის ისტორიული საბუთები დანამდვილებულია, თუ ვისგან, რა დროიდან, ვის სახელობაზეა აშენებული, ჰყავს მლოცავი, იცის დღეობა და სრულდება ქრისტიანული რამე წესები. ყველა ამას მოკლებულია „ანტიოქია".

შეიძლება, ბატონო ხუცესო, გაიკვირვოთ ასეთი დაუდევრობა ჩვენ წინაპართა ანტიოქიის შესახებ, მაგრამ ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო ქართველობისთვის უწინაც და ეხლაც. ავიღოთ თვით დიდებული სვეტი ცხოვლის ტაძარი. იმის გალავანში ამ რამდენიმე ათი წლის წინად მდგარან სახლკარობით გედევანიშვილები, მაგთაანი, ნათაანი, ბარისაანი და სხვანი, ბევრი მათგანი გასულა უფასოდ, მაგრამ გედევანიშვილებმა და ბარისაანთ, მანამ ფულით არ შეასყიდეს ტაძარს თავიანთი კარმიდამო (პირველთ აიღეს 3500 მ., მეორეთ 500 მან.), ფეხი არ მოიცვალეს, ვით ტაძრის შემკეთებელი კომიტეტი. რამდენს ეცადა, ხან პოლიციით, ხან სასამართლოს ძალით, მაგრამ ვერაფერს გახდა ბარისოვებთან და ბოლოს 500 მ, დასთანხმდნენ დაეთმოთ ტაძრისთვის. ეს სულ ხუთი წლის საქმეა.

ჩვენ არ შეგვწევს იმდენი ძალა, რომ გადავუღობოთ დღეს მფლობელ ტუშურაშვილებს, და ანგრევინოთ სახლები და დაუსაკუთროთ შტატის ეკკლესიას და თუ თქვენ გაქვთ ამდენი ძალა და გსურთ აღდგენა ხსენებულის „ანტიოქიის" ნაშთისა, ჩვენ დახმარებას არ მოგაკლებთ. რაც შეეხება ბ-ნ გიგო გაბაშვილის ამბავს ვითომ, საქათმედ საღორედ და საცხენეთ ყოფილიყოს გადაქცეული „ანტიოქია", ეს მეტის-მეტად გადაუმეტებაა მთელი საზოგადოების ხალხი კრებულით ჩავედით ალაგობრივ და ვნახეთ ეკლესიაში სისუფთავე, მხოლოდ კარი-ბჭეში ჰყრია კარი. შეიძლება სიცხის გამო შეფარებული ქათამი უნახავს ბ-ნ გაბაშვილს ეკკლესიაში და მას საქათმედ მიუჩნევია. თვით საზოგადოება არ მოუწონებს ბ-ნ ტუშურაშვილებს, რომ საბუთიანად არაჰქონდეთ შეძენილი ხსენებული ანტიოქიის მიდამო, მაგრამ უსარგებლნიათ მამაპაპის დროითი, ჩვენის წინაპართ დაუდევრობით და დაუსაკუთრებიათ.

**მცხეთის სობოროს კრებული.**

—

ძლივს აგვისრულდა დიდი ხნის სურვილი. 27 სექტემბერს, ქუთაისში, ეგრედ წოდებულ არქიელის გორაზე, გაიხსნა უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველო. ჯერ კიდევ ამ ხუთი-ექვსი წლის წინად მოვინდომეთ აქ სამკითხველოს დაარსება რადგან ეს გორა მოწყვეტილია ქალაქის ცენტრს. ქალაქში ჩასვლა-ამოსვლა მეტად სძირს უგზოობისა გამო მეტადრე ზამთარში, ამიტომ აქ მცხოვრებნი, უმეტესად ღარიბნი, ვერ სარგებლობენ იმ ორიოდე კულტურულ დაწესებულებით, რომელნიც ძირს, ქალაქში, მოიპოვებიან. იმ დროს ჩვენს სურვილს ბევრი მიზეზი გადაეღობა წინ და უმეტესად ინტრიგანობა, თან არეულობის ხანამაც მოგვისწრო და საქმე შეჩერდა. ამ რამდენიმე თვის წინად კი უფრო მხნედ შევუდექით საქმეს და ადგილობრივ წ-კ. საზოგადოების განყოფილების შუამდგომლობით მთავრობამ ნება დაგვრთო გაგვეხსნა სამკითხველო ჩვენის საშუალებით. მიუხედავად თომა ურწმუნოების ღაღადისა: „რომ სამკითხველოს ვერ დაარსებთ, საშუალებას ვერ გამონახავთ და ვერც მკითხველს იპოვნით, რადგან მოთხოვნილება არ არისო" (?) (იქონიეთ სახეში მთელს ქალაქში ამ ჟამად ერთად-ერთი ქალაქის წიგნთ-საცავ-სამკითხველოა), მიუხედავად ამისა, რამდენიმე პირის დახმარებით მშვენიერი სამკითხველო გავიჩინეთ. სახლი, ვიქირავეთ, სურათებით შევამკეთ, დავიბარეთ ყველა ადგილობრივი ჟურნალ გაზეთი რუსულსა და ქართულს ენაზე, აგრეთვე რამდენიმე სატახტო ქალაქის გაზეთი და კვირას, როგორც ზევით მოვიხსენიეთ დიდძალ საზოგადოების თანადასწრებით კურთხევის შემდეგ გავხსენით.

თუ რა დიდი მოთხოვნილება ყოფილა მსეთ დაწესებულებაში, ეს იქიდანა სჩანს რომ პირველ დღეს ჩაეწერა 50, მეორეს 70 და მესამე დღეს—76. თუ ასე პროგრესიულად იზარდა მკითხველთა რიცხვი. ჩქარა მეორე ოთახის მომატებაც დაგვჭირდება.

ამ ჟამად ჩვენ გვაქვს მხოლოდ სამკითხველო, წიგნთსაცავისათვის საშვალება ჯერ თუმცა ხრა გვაქვს, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ მალე ისიც გვექნება, თუ საზოგადოებამ თანაგრძნობა არ მოგვაკლო. ყოველ დღე დიდძალი წიგნი მოგვდის სხვა და სხვა პირისაგან შემოწირული, რამდენიმეს ჩვენი საშვალებითაც მოვიპოვებთ და წიგნთსაცავიც მომავალი წლიდან მაინც მზად იქნება.

დასასრულ, სამკითხველოს გამგე კომიტეტი ურრმეს მადლობას სწირავს იმ პირთ, რომელთაც ერთდროულად დახმარება გაუწიეს ფულით და მით მისცეს კომიტეტს საშვალება, რომ ეს სიმპატიური საქმე განეხორციელებინა. მადლობას ვწირავთ ისიდორე კვიცარიძეს, რომელმაც შემოგვწირა მწერლების სურათები, ლირებულნი რვა მანეთად, სხვა და სხვა წიგნები ერთი თუმნისა და აგრეთვე უფასოდ დაგვითმო სატახტო ქალაქის სამი გაზეთი; ვაჭრებს—ძმ. გოგიცოვებს, რაფაელოვს, ჩაკვეტაძეს, ძმ. ოცხელებს, წერეთელს, გორდაძეს, ჯანელიძეს, მამაჯანოვს, რომელთაც უხვად შემოგვწირეს სამკითხველოსათვის საჭირო ნივთები; მთავრიშვილის წიგნის მაღაზიას ჩუბინაშვილის ლექსიკონის შემოწირვისათვის და ივ. კილაძეს წერილების უფასოთ დაბეჭდვისათვის.

სამკითხველოს გამგე კომიტეტი დაბეჯითებით სთხოვს საზოგადოებას, კვლავ ნუ მოაკლებს თავისს დახმარებას ისეთ სიმპატიურ დაწესებულებას, როგორიც არის სამკითხველო-წიგნთსაცავი, იმ იმედით, რომ ყოველი შეწირული კაპეიკი საქმეს მოხმარდება. ერთდროულ შემწირველთ, თუ თვიურ დამხმარეთ ეძლევათ კვიტანცია წ-კითხვის საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების მიერ შემოწმებული, რომელიც დრო და დრო რევიზიას გაუწევს ყოველსავე სამკითხველოს გამგეობის სიას მერე დავბეჭდავთ მოქმედებას. წიგნების შემომწირველთა სიას მერე დავბეჭდავთ.

**რაჟ. კანდელაკი.**

# მატარებლების მიმოსვლა
## (18 აპრილიდან)

ფრჩხილებს გარედ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში ტფილისისა.

**ტფილისიდან გადის**

**ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი N 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო N 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო N 4, საღამოს 10 ს. 40 წ (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

**ბორჯომამდე:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო N 9/10. ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

**ჯულფამდე:** საფოსტო N 74/75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.),

**ერევნამდე:** სამგზავრო და საქონლ. N 78/79, ნაშუადღევ. 4 ს. (4 ს. 58 წ.).

**მცხეთამდე:** მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა-უქმეებში—1) საკარაკო N 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) საკარაკო N 77 a, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**ტფილისში მოდის**

**ბათუმიდან:** 1) სწრაფი N 2, დილის 8 ს. 38 წ. (9 ს. 36 წ.),
2) საფოსტო N 4, საღამ. 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 5 ს. 50 წ (6 ს. 48 წ.).

**ბაქოდან:** 1) სამგზავრო N 11, დილის 9 ს. 47 წ. (10 ს. 45 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 7 ს. 8 წ. (8 ს. 6 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.).

**ბორჯომიდან:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 6 ს. 46 წ. (7 ს. 44 წ.).
2) სამგზავრო N 9/10, საღამოს 8 ს. 4 წ. (9 ს. 2 წ.).

**ჯულფიდან:** საფოსტო N 72/73, დილის 5 ს. 28 წ. (6 ს. 26 წ.).

**ერევნიდან:** სამგზავრო და საქ., ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.).

**მცხეთიდან:** მხოლოდ კვირა უქმეებსა და კვირა-უქმეების წინა დღის—საკარაკო N 76 a, ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.). საკარაკო N 76, საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.).


# განცხადებანი

**კერძო კაბინეტი სამკურნალო დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** $9^{1/2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აველტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—$1^{1/2}$ ს. შინაგან და საბავშვო.

**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—$1^{1/4}$ ს. შინ. და ბავშვ.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—$6^{1/2}$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ.—1—189)

# სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარდან მოხიარული ავადმყოფთათვის.
ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1—3 საათ.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოყოვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ჩუდნოვსკი.**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ.და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევი**—ბავშ. ყ.-დღე. 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3.

**ნოვიცკი**—ბებ , ქალ., ყოველ დღე 1—2

**ახვლედიანი**— შინაგ. და ბავშ. ყოველ დღე 11—$12^{1/2}$ ს.

**კალამქაროვი**—ბებ., ქალ. ყ.-დღ. კვირ. გარდა 4—5 ს.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურ. $11^{1/2}$—$12^{1/2}$ ს.

**ასპიროვი**—ცხვ. ყელ. ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსენარის შრატით. (00—6.—101)

# ბოჩკები

შემთხვევით იყიდება 60, 50, 40, 30, 15, 10 და 8 ვედრიანები. ოლგას ქ. № 3; იკითხეთ **აიზენბერგი.**

(1—497—1)




# ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის
## მაღაზია ქ. ქუთაისში.

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ"-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბ-ს გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერმოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ა დ რ ე ს ი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—Б—77)